ᲓᲠᲝᲔᲑᲐ

№ 14 სამშაბათი, 20 იანვარი 1909 წ. № 14

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲒᲐᲮᲣᲚᲘ «დროება» სტრატეგიანი დამატებით ერთის წლით დირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კ., ერთის თვით—1 მან. ეაზითის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიგზე.

განცხადების ფასი: ნეულ-პრეისი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ სალამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

წელსა მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» redაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ᲬᲔᲚᲛᲝᲣᲬᲔᲠᲔᲚᲘ წერილები [illegible] და მგირე წერილებს და კორესპონდენციებს [illegible] ხავს. ინახება ერთის თვით [illegible] მოთხრობები. პირადად [illegible] დღე, კვირა-უქმეების გა[illegible] დადეგენ 3 საათამდე.

ᲐᲓᲠᲔᲡᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲕᲚᲐ ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲜ ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲓ ᲦᲘᲠᲡ 1 მან., ᲮᲣᲚᲝ ᲡᲮᲕᲐᲒᲐᲜ 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ᲤᲝᲡᲢᲘᲡ ᲐᲓᲠᲔᲡᲘ: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ᲪᲐᲚᲙᲔ Ნ.ᲐᲛᲔᲠᲘ ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲔᲠᲗᲘ ᲨᲐᲣᲠᲘ.

ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ (ᲙᲕᲘᲠᲘᲡᲐ) 7 ᲙᲐ�პ.

წარმოდგენა № 11. ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ წარმოდგენა № 11.

ოთხშაბათს, 21 იანვარს 1909 წ. ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება **პირველად ახალი პიესა.**

ᲡᲐᲚᲮᲘᲜᲝ

(ᲐᲚᲣᲒᲚᲘᲡ ᲒᲐᲚᲘ ᲞᲘᲔᲡᲐ ᲩᲔᲮᲝᲕᲘᲡᲐ)

პიესა 4 მოქმ. გადმოქართულებული ივ. ბარვილის-მიერ.

მოქნაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ა. კარგარეთელი, მ. მდივანი, მ. ქილარჯიშვილი, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი ვ. აბაშიძე, ვ. გაბაყრ[illegible]ლიძე, გ. გეგეჭკორი. ნ. გვარაძე, ი. იგანიძე, ი. იმედაშვილი-ხამაძელი, გ. იმნელი, კ. მეხი, მ. საფარეული, ვ. ურუშაძე, ვ. ფათირიშვილი, ვ. ფალიკაშვილი.

ადგილების ფასი: ლოჟები 8 მ.-დან 1 მ. 50 კ.-მდე, ბარტერი 2 მ. 50 კ.-დან 75 კ.-მდე. გალერეია 50 კ.-დან 20 კ.-მდე. მოწყალეთათვის ფიქრამი 40 კაპ.

დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად „ჩერჩენი“, „მადამ სან-ჟენი“, „სანეულისწერილ დამბაჩა“.

უფროსი რეჟისორი **ა. ი. ᲧᲐᲜᲩᲘᲔᲚᲘ.** რეჟისორი **ვ. ᲨᲐᲚᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ.**

ადმინისტრაცია დრამატ. საზოგადოებისა.

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲖᲘᲜᲝ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

სამშაბათს, 20 იანვარს, მეოთხე გასტროლი ვან-ბრანდტისა. წარმოდგენილი იქნება

„ᲒᲝᲒᲔᲛᲐ“

მონაწილეები: ქ-ნნი ვან-ბრანდტი. პოზნიაკოვა; ბ-ნნი კარეევინი, ევლახოვი, ლუტჩევი, სერგეევი, ტომსკი და სხვ.

დირიჟორი **ა. ეიხენვალდი.** რეჟისორი **ც. ᲣᲠᲑᲐᲜᲘ.**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ხვალ „გეიშა“; 21 იანვარს „ანდრე ზენიე“,

ᲪᲘᲠᲙᲘ ᲫᲛ. ᲜᲘᲙᲘᲢᲘᲜᲔᲑᲘᲡᲐ

სამშაბათს, 20 იანვარს, დიდი სპორტი-წარმოდგენა სამ-მოქმედებად. დებიუტი კლოუნის **იაკუ-ᲒᲐᲠᲘᲜᲐ.** მონაწილეობას იღებენ კლოუნები, კომიკები, ცხენოსნები. სხვათა შორის მესამე განყოფილებაში ესე 10 საათზე საერთა-შორისო ჩემპიონი ფრანგული **ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲘᲡᲐ** 8000 ფრანკ პრიზზე. იჭიდავებენ: 1. **ᲝᲡᲘᲞᲔᲜᲚᲝ** და **ᲚᲣᲠᲘᲜᲘ**; 2. **ᲞᲝᲡᲞᲔᲨᲘᲚᲘ** და **ᲠᲣᲩᲚᲘᲜᲘ**; 3. **ᲙᲠᲐᲑᲣᲢᲝ** და **ᲐᲜᲓᲔᲠᲡᲔᲜᲘ**; 4. **ᲑᲐᲠᲐᲓᲐᲜᲘᲐᲜᲪᲘ** და **ᲡᲔᲕᲘᲢᲩᲩᲘ.** დაწვრილებით პროგრამებში. დირექტორი ცირკისა **ᲐᲫᲘᲛ ᲐᲚ. ᲜᲘᲙᲘᲢᲘᲜᲘ.**

22 იანვარს ბენეფისი **ᲔᲛᲛᲐ ᲜᲘᲙᲘᲢᲘᲜᲘᲡᲐ.** (0—1)

◀ **ᲡᲐᲔᲠᲝ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲮᲔᲚ-ᲥᲕᲔᲘᲗ ᲛᲧᲝᲤᲘ** ▶

ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ

მეხუთე ქალთა გიმნაზიის ყოფილ უფროსის

ᲚᲘᲣᲓᲛᲘᲚᲐ ᲗᲔᲝᲓᲝᲠᲔᲡ ᲐᲡᲣᲚᲘᲡ ᲞᲔᲢᲠᲐᲨᲔᲕᲡᲙᲘᲡᲐ

მიხეილის პროსპექტი, № 166.

დაიწყო მიღება ქალებისა და ვაჟებისა მოსამზადებელ 1, 2 და 3 კლასებში. დაწვრილებითი ცნობები სკოლის სადგომში ყოველ-დღე 10—2 საათამდე. სბავშვო ბაღი და პანსიონი. (10—ᲗᲐᲡᲣ.—9)

თებერვლის პირველ რიცხვებში ქ. ტფილისში გამოვა პირველი წიგნი

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚ-ᲡᲘᲢᲧᲕᲐ-ᲙᲐᲖᲛᲣᲚ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘᲡᲐ

რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ: ნ. აზიანი, რ. არსენიძე, ვლ. ახმეტელაშვილი, ბ. ახოსპირელი, კ. გოგოლაძე, ივ. გომართელი, ლ. დარჩია, ვლ. დარჩიაშვილი, ვალენტინი, ნ. ზომლელი, იასამანი, პ. ირეთელი, ლალიონი, ლეო, რ. ლეჩხუმელი, ვ. მალაქიაშვილი, ს. მგალობლიშვილი, იასონ ნიკოლაიშვილი, ტრიფონ რამიშვილი, ვ. რუხაძე, ვ. ტუქსიშვილი, ყარიბი, შ. შარაშიძე და სხვ.

კრებული გამოვა თვეში ორჯერ. კრებულში დაიბეჭდება ლექსები, პოემები, მოთხრობები, მხატვრული აღწერანი, ძეგლეურობანი, ეტიუდები, დრამატიული თხზულებანი, კრიტიკული წერილები ქართულ ლიტერატურაზე. კრებულში გამოსცემენ ბევრ მასალებ უნდა იყოს გარკვევით დაწერილი, მასთან რაც შეიძლება მხატვრულად და ძალვლეთ, რადგან ჩვენი მიზანია თვითეული წიგნში რაც შეიძლება მეტ ავტორთა სხვა და სხვა მასალებს მივცეთ ადგილი. მასალები უნდა გამოგზავნოს: რუსეთ ქუჩაზე, სტ. „შრომაში“ ზედწარწერით „ლიტერატურულ კრებულისათვის“. კრებულის დაკვეთა წინდაწინვე შეიძლება. თვითეული წიგნი შეიცავს 80 გვერდს ძვ. ზრდილ ფორმატისას კარგ ქაღალდზე დაბეჭდილს და ეღირება 20 კაპ. აგენტებს 15 კაპ. დაეთმობათ. ფული ამ ადრესით უნდა გამოგზავნეს: „Тифлисъ. Типографія „Шрома“ (Русск. ул.) Василію Карамановичу Болквадзе. (3—Უ.—2)

ᲔᲥᲘᲛᲘ ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ ᲙᲘᲓᲔ

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ავჭალის ქუჩა, N 41, სასულიერო სასწავლებლის პირდაპირ. (Უ)

ᲔᲥᲘᲛᲘ Კ. ᲗᲝᲤᲩᲘᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲥᲣᲩᲐᲘᲡᲨᲘ

იღებს შინაგან და სპეციალურად გენერიულ სნეულებით ავადმყოფებს (სიფილისი, სუსტატი, სამარდე შილის, ბუშტის და თირკმელების სატკივარი), ტფილისის ქ., ფირალოვის სახლი (ქარბანა). (120—ᲓᲐ.—41)

ᲔᲥᲘᲛᲔᲑᲘ ᲙᲑᲘᲚᲘᲡᲐ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ Გ. Ა. ᲓᲔᲛᲘᲓᲝᲕᲘ ᲓᲐ Ვ. Ტ. ᲡᲣᲮᲐᲠᲔᲕᲡᲙᲘ

იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. ᲙᲚᲝᲣᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲔᲗᲔᲑᲐ, ᲒᲑᲘᲚᲘᲡ ᲩᲐᲡᲛᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲘᲚᲐᲥᲘ. ᲐᲮᲝᲠᲪᲚᲜᲘᲡ ᲒᲖᲐ. ᲤᲐᲜᲘᲡᲘ. (0—586—75)

ᲔᲥᲘᲛᲘ ᲙᲑᲘᲚᲘᲡᲐ ᲐᲚ. ᲡᲝᲚᲝᲛᲝᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პრეს. N 12, სახლი მდივნისა. (Უ)

ᲔᲥᲘᲛᲘ Ვ. ᲚᲐᲛᲑᲐᲨᲘᲫᲔ

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ᲬᲣᲗᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (Უ)

ᲔᲥᲘᲛᲘ Ა. Ნ. ᲓᲘᲐᲡᲐᲛᲘᲫᲔ

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ᲨᲣᲗᲗᲐᲑᲐᲗᲝᲗᲘᲗ მეზობლოდ დილით 8—9 ს. ᲥᲘᲠᲣᲠᲒᲘᲣᲚᲘ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲑᲔᲑᲡ ᲐᲠ ᲘᲦᲔᲑᲡ. ᲧᲝᲤᲝᲚᲘᲡᲐᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ N 14. (Უ)

ᲔᲥᲘᲛᲘ Ვ. Ს. ᲛᲣᲡᲔᲚᲘᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. ᲒᲝᲚᲝᲕᲘᲜᲘ, N 9. (Უ)

ᲔᲥᲘᲛᲘ ᲙᲑᲘᲚᲘᲡᲐ Ნ. ᲠᲒᲘᲚᲐᲫᲔ

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ᲒᲕᲠᲐ, ᲝᲚᲒᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ N 25. (Უ)

ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲢᲘ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲠᲔᲜᲢᲒᲔᲜᲘᲡ ᲡᲐᲛ. ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ Მ. ᲑᲝᲓᲕᲘᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—7 საათ. ᲒᲕᲠᲐ ᲧᲝᲤᲝᲚᲘᲡᲐᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, N 20, ᲢᲔᲚᲔ. 791. (Თ.—76)

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲘᲠᲣᲠᲒᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

ᲓᲝᲥᲢ. ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘᲡᲐ

დაარსებულია 1880 წელს.

(ᲕᲝᲠᲝᲜᲪᲝᲕᲘᲡ ᲫᲔᲒᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ)

ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ, ᲙᲕᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

ᲓᲘᲚᲘᲗ:

Ბ. Ა. ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ: 11—12 ს. ᲥᲘᲠᲣᲠᲒᲘᲣᲚᲘ, ᲕᲔᲜᲔᲠᲘᲣᲚᲘ (ᲡᲘᲤᲘᲚ.) ᲓᲐ ᲡᲐᲨᲐᲠᲓᲣ.

Უ. Მ. ᲩᲘᲠᲝᲕᲐᲜᲘ: 9 ᲡᲐᲐ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

Ზ. Ი. ᲑᲐᲑᲐᲜᲐᲡᲝᲕᲘ: 10—11 ს. საბეჭდო, ქალებისა და ბავშვებისა.

ᲛᲣᲚᲘᲜᲘ: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

Მ. Გ. ᲐᲕᲐᲪᲘᲡᲘᲐᲜᲪᲘ: 11—12 ᲡᲐᲐ. ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

Ა. Მ. ᲨᲣᲒᲘᲜᲝᲕᲘ: 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

Ა. Ი. ᲙᲐᲠᲐᲞᲔᲢᲘᲐᲜᲪᲘ: 1—1 ᲡᲐᲐ. ს. შინაგან და საბავშვო.

Ა. Მ. ᲢᲣᲠᲑᲝᲕᲘᲩᲘ: 1 ᲡᲐᲐ.—2 ᲡᲐᲐᲗᲛ. საბეჭდო და ქალებისა.

Გ. Ი. ᲒᲣᲠᲒᲔᲜᲝᲕᲘ: 12—12 ᲡᲐᲐ. ს. ქალებისა და საბ[illegible]ო.

ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲗᲘ:

Ი. Ვ. ᲒᲔᲝᲕᲡᲙᲐᲘᲐ-ᲔᲜᲓᲔᲚᲘ: 6—6 ᲡᲐᲐᲗ. ს. საბეჭდო, ქალებისა და ბავშვებისა.

Ი. Ე. ᲛᲐᲠᲪᲘᲨᲕᲡᲙᲘ: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.

რჩ. 50 კაპ. ᲓᲐᲠᲩᲔᲑᲘᲡ ᲣᲤᲐᲡᲝᲓ, ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲛᲘᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲘᲗ. ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ

მედ. Ც. ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ **Ბ. Ა. ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ.** (Წ.—1—6)

ᲔᲥᲘᲛᲘ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ Გ. ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘ

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. ტფილისის ქუჩა, სადაც კაზაკოვის ქუჩა იწყება, სამსოფ ამდუმულიშვილის სახლში, დილით 9—12 ს. და საღამოთი 4—6 ს. (Უ)

ᲔᲥᲘᲛᲘ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ ქ. ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ

შინაგანის, ᲧᲣᲠᲘᲡ, ᲧᲔᲚᲘᲡ და ᲒᲖᲕᲘᲠᲘᲡ ᲜᲔᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ. ტფილისის ქუჩა, ს. თ. ნიკარაძისა (6—41)

„ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲠᲐᲜᲘᲝ“

სამშაბათს, 20 იანვარს 1909 წ. წევრთა, კანდიდატთა და მათ ოჯახებისათვის ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

1

ᲯᲔᲠ ᲓᲐᲘᲮᲝᲪᲜᲔᲜ ᲛᲔᲠᲔ ᲓᲐᲥᲝᲠᲬᲘᲚᲓᲜᲔᲜ

კომედია 2 მოქ. რ. ერისთავისა.

2

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ

კომედია 1 მოქ. ვ. ᲬᲣᲜᲘᲐᲜᲘ.

მონაწილეობს მთელი დასი.

დასაწყისი საღამოს 8 ნახევარ საათ. (1—37—1)

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ

ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲔᲥᲪᲘᲐ ამით აცხადებს **ᲛᲣᲨᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲦᲚᲔᲑᲝᲛᲦ,** რომ **ᲕᲔᲠᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ,** ოლგის ქუჩაზე № 52, ორშაბათიდან (19 იანვარი) მიიღებიან მოსწავლეებად მუშები.

მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერნენ ყოველ დღე საღამოს 6—8 საათზე გარდა კვირა დღისა. აგრეთვე ძველ მოსწავლეებსაც, რომელნიც დღესასწაულების შემდეგ არ გამოცხადებულან, შეუძლიანთ განაახლონ სწავლა. (3—Უ.—3)

ჩვენდა დამოუკიდებელ მიზეზის გამო, რადგან ქართველთა ამხანაგობის სტამბაში, ხშირი გაფიცვაა, ამისათვის სამწუხაროდ **„ᲜᲐᲙᲐᲓᲣᲚᲘᲡ“** გამოსვლა დაგვიანდება. დაგვიანდება აგრეთვე გაფიცვის გამო 1908 წლის პრემია. ბოდიშს ვიხდით საზოგადოების წინაშე.

(3—1) **„ᲜᲐᲙᲐᲓᲣᲚᲘᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ.**

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ „ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ“ redაქცია აცხადებს, რომ ვისაც სურს შეიძინოს წარსული წლის ყველა ნომრები № 1—8 (ხუთი წიგნი) დაეთმობა **ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ** 1 მან. 50 კაპ. პროვინციებში 2 მანეთად. სოფლის მასწავლებლებს 1 მან. 50 კაპ.

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ „Ქ. Მ. ᲬᲔᲠᲐ-ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ“ წიგნის მაღაზიაში. (Თ—Უ.—3)

ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ

ᲤᲝᲜᲓᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ.

წ.-კ. საზოგადოების გამგეობამ მიღო ოქტომბრის, ნოემბრის და დეკემბრის განმავლობაში:

		მ.	კ.
1	ᲢᲤ. ქალთა წრისაგან	82	10
2	Გ. Ა—საგან	3	93
3	ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲒᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲮᲐᲛᲨᲐᲮᲣᲠᲗᲐᲒᲐᲜ	17	50
4	ᲢᲤ. ᲡᲐᲗ.-ᲡᲖ. ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲓᲐᲛᲤᲐᲮ. ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲝᲜᲘᲡᲐ�გᲐᲜ	12	—
5	ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲬᲠᲘᲡᲐ�გᲐᲜ	147	50
6	Ი. ᲥᲣᲠᲗᲣᲚᲘᲫᲘᲡ ᲛᲔᲒᲠᲝᲕᲘᲚᲘ ᲡᲐᲒᲐᲠᲯᲝᲛᲘ	37	30
7	ᲮᲔᲠᲯᲘᲡ (ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲘᲡ (ᲙᲘᲠᲔᲕ)	42	98
8	ᲘᲚᲘᲐᲡ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ ᲛᲔᲛᲝᲛᲬᲐᲕᲚᲘ ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ	245	47
9	Გ. Ა—საგან	5	—
10	ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲚᲔᲑᲘᲡᲐ�გᲐᲜ	50	70
11	ᲐᲙᲐᲣᲠᲪᲘᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ ᲛᲔᲛᲝᲛᲬᲐᲕᲚᲘ	42	—
12	Ხ. ᲧᲣᲚᲝᲛᲯᲘᲚᲘᲡᲐ�გᲐᲜ	8	—
13	ᲐᲜᲜᲐ ᲬᲣᲓᲒᲘᲜᲘᲫᲘᲡ ᲛᲔᲒᲠᲝᲕᲘᲚᲘ	74	30
14	ᲑᲐᲫᲝᲛᲝ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ ᲛᲔᲛᲝᲛᲬᲐᲕᲚᲘ	302	—
15	ᲛᲐᲠᲘᲐᲛ ᲐᲐᲜᲘᲫᲘᲡ ᲛᲔᲒᲠᲝᲕᲘᲚᲘ	25	85
16	ᲮᲔᲠ. ᲯᲝᲜᲘᲫᲘᲡᲐ�გᲐᲜ	10	—
17	ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ ᲛᲔᲛᲝᲛᲬᲐᲕᲚᲘ	175	—
18	ᲢᲤ. ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲒᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲮ.	23	50
19	Ი. ᲤᲘᲪᲔᲚᲐᲣᲠᲘᲡ ᲛᲔᲒᲠᲝᲕᲘᲚᲘ	45	—
20	ᲝᲐᲒ. ᲝᲠᲑᲔᲚᲘᲐᲜᲘᲡᲐ�გᲐᲜ	83	—
21	ᲒᲐᲮ. ᲩᲔᲠᲩᲘᲖᲘᲫᲘᲡᲐ�გᲐᲜ	21	40
22	Გ. Ა—საგან	5	—
23	ᲝᲐᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ ᲛᲔᲛᲝᲛᲬᲐᲕᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ	11	90
24	Ლ. ᲩᲘᲠᲩᲘᲖᲘᲫᲘᲡᲐ�გᲐᲜ	3	—
25	Ლ. ᲯᲐᲠᲒᲘᲚᲐᲫᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ	3	—
26	Გ. ᲠᲐᲪᲘᲫᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ	3	—
		1480	43

ᲡᲣᲚ ᲘᲧᲝ 1909 წ. ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘᲡ 1-ᲓᲐᲜ 12935—19

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘ, 20 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

თუმცა რეაქციის შავი ძალები მაჯლაჯუნასავით გადაეფარნენ ჩვენს ცხოვრებას; თუმცა თავისუფალი სიტყვა და საქმე ძველებურად შეამწყვდიეს უკუნეთის სიბნელეში,—მაგრამ განმათავისუფლებელ მოძრაობისაგან ანდერძად დატოვებული იდეა ნაციონალური აღორძინებისა თანდათან ვითარდება. მართალია, ეხლა ნაციონალური იდეა ისეთ შორეულ და თვალწარმტაც ჰორიზონტებს, არ გვიჩვენებს როგორც ოთხი წლის წინად, მაგრამ იგი წინად იმდენ საზოგადოებრივ წრეებს არ ააფრთოვანებდა, როგორც ეხლა. დღესაც შეეხვედებით კანჯი-კუნტად ნაციონალობის უარმყოფ მიმართულების ისეთს ნაშთს, რომელიც წარბშეუხრელად გამოგიცხადებთ, ადამიანები განიყოფებიან არა ერებად, არამედ ენებადაო; მაგრამ ეს წარსულ დროების რუდიმენტარული ნაშთია და, რაც ხანი გაივლის, უფრო იშვიათი სანახავი გახდება. საყურადღებოა, რომ ნაციონალურ ინტერესებსა და იდეალებზე ჩვენს დროში ხმა მაღლა და პირდაპირ დაიწყეს ლაპარაკი ქართველ თავად-აზნაურობისა და ვაჭრების იდეოლოგებმა. საყურადღებოა, რადგან მათს ლაპარაკს ამ საგანზე ეხლა სულ სხვა ხასიათი აქვს, ვიდრე წინად. ეხლა ეს იდეოლოგები ფვალწინ კონკრეტულ ნაციონალურ ინტერესებს ისახავენ, გარკვეულ ნაციონალურ იდეალებზე ბჭობენ, წინად კი იმათი ნაციონალიზმი მხოლოდ უმოქმედო პლატონურ გრძნობათა გამოხატულება იყო.

ნაციონალიზმი სხვა და სხვა კონკრეტულ იდეალების ფორმაში შეიძლება ჩამოყალიბდეს. ზოგი იდეალი შესაძლოა არსებითად ნაციონალურ განვითარებას ხელს კი არ უწყობდეს,—აფერხებდეს. რაც თავად-აზნაურობის და ვაჭრების იდეოლოგებს ნაციონალურ განვითარების აუცილებელ შემადგენელ ელემენტად მიაჩნიათ, სწორედ ის მშრომელ ხალხის თვალსაზრისით შესაძლოა ეწინააღმდეგებოდეს ეროვნულ განვითარებას. ამ ნიადაგზე სხვა და სხვა მიმართულების შორის მოსალოდნელია უთანხმოება, მაგრამ ეს უთანხმოება მაინც ვერასოდეს ვერ გააჭარწყლებს იმას, რაც ყველა საზოგადოებრივ კლასის თვალსაზრისით ერთნაირად იგულისხმება ნაციონალურ აღორძინების იდეით. ერთი ჯგუფი ჩვენი დროის ნაციონალისტებისა, მაგ., ფიქრობს, რომ ქართველ ხალხის ნაციონალური ინტერესი და თავმოყვარეობა მოითხოვს, საქართველოში სახელმწიფო მოხელეებად ქართველები ინიშნებოდნენო. როგორც ვიცით, ქართველი თავად-აზნაურობა მთელი მეცხრამეტე საუკუნე რუსის სამსახურში იყო; იგი შეეჩვია ამ სამსახურს, შეეჩვია ჯამაგირის მიღებას ხაზინიდან, მოსწყდა თავის მამულს, თავის მეურნეობას და ეხლა გარეშე სამსახურისა, სხვა არავითარი საქმე მას აღარ ეხერხება. რა თქმა უნდა, ქართველ თავად-აზნაურობისთვის დიდად სახეიროა სახელმწიფო სამსახური, მაგრამ ამ საქმეს რომ საყოველთაო მნიშვნელობა ჰქონდეს ერისთვის—ეს კი ძნელი სათქმელია. ჩვენ გვინახავს ქართველი მოხელე, რომელიც მასთან საქმეებზე მოსულ ქართველს გლეხს თარჯიმანის შემწეობით ელაპარაკებოდა, რადგან კანონით მოხელეს მხოლოდ სახელმწიფო ენაზე შეუძლიან ელაპარაკოს ხალხს. გვინახავს ასეთი შემთხვევა და გვიფიქრია, მოხელე რომ რუსი ყოფილიყო უკეთესი იქნებოდა; გლეხი იმ შთაბეჭდილებას მაინც არ მიიღებდა, ვითომც ქართული ენა რაღაც სათაკილო ენა ყოფილიყოსო...

სამსახურის უფლების ძებნაში თავად-აზნაურობის და ვაჭრების იდეოლოგებს მშრომელი ხალხი მხარს ვერ დაუჭერს. მართალია, ჩვენმა თავად-აზნაურობამ თავისი სულისკვეთება მშრომელ ხალხის ერთ ნაწილსაც მოახვია თავზე; მართალია, თავად-აზნაურობის პსიხიურ გავლენით ბევრ სოფელში გაიგონებთ გლეხისაგან—ვისაც კაცობა უნდა, რუსული უნდა ისწავლოს, რომ სამსახურში შევიდესო, მაგრამ ეს გარდამავალი თავად-აზნაურული გავლენაა. რაც უფრო წინ წავა ხალხის ეკონომიური ცხოვრება, მით უფრო ცხადი შეიქნება, რომ სამსახურით თავის რჩენა საყოველთაო იდეალის როლს ვერ შეასრულებს. თავადაზნაურობას შესაძლოა ბოლომდე შერჩეს მისწრაფება სამსახურისადმი, მაგრამ მშრომელ ხალხს კი ეს იდეალი მაღე გაუქრება. მშრომელ ხალხის ნაციონალურ იდეალებს უფრო მტკიცე ეკონომიური შინაარსი და საფუძველი უნდა ჰქონდეს, ვიდრე სახელმწიფო მოხელეობა.

ამ მხრივ ეხლანდელ პოლიტიკურ პირობებში მშრომელ ხალხის ნაციონალური იდეალი ყოვლის უწინარეს მოითხოვს მიწის ანუ ტერიტორიის საკითხის მოწესრიგებას. ტერიტორიის საკითხს გულგრილად და გულცივად ვერც თავად-აზნაურობა შეჰხედავს, ვერც ვაჭრობა. თუ ერის ტერიტორიალური მთლიანობა დაირღვა, უმალ გამოეცლება საძირკველი ყოველ გვარ ნაციონალობას და თავად-აზნაურობა და ვაჭრები თავიანთ ნაციონალიზმით უშინაარსო და უსაგნო ოცნებათა მატარებელნი შეიქნებიან. ესაა მიზეზი, რომ ტერიტორიის საკითხს ძირითადი მნიშვნელობა აქვს ქართველ ხალხის ყველა ელემენტისთვის.

ჩვენს დროში, თამამად შეიძლება ვთქვათ, სხვა არც ერთი ნაციონალური იდეალი არ აერთებს ზნეობრივად ისე მჭიდროდ ქართველ ხალხის ყველა ელემენ

„კაბელ-გრამ-გეზელშტაფტის“ დეპეშა პეკინიდან იუწყება, რომ ჩინეთის პრესა შეუწყნარებლადა სთვლის უცხოელ ელჩების ჩარევას იუანშიკაის გადაყენების საქმეშიო. ელჩების ასეთი საქ�iელი ჩინეთის შინაურ საქმეებში ჩარევასა ნიშნავსო.

ვაშინგტონი. წარმომადგენელთა პალატამ მოიწონა ხარჯთ-აღრიცხვა ჯარისა. ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანილია 500 ათასი მანეთი ჰაეროსტატების საცდელად.

ჰანოვერი. სოციალ-დემოკრატების მიერ საარჩევნო კანონის გამოსაცვლელად გამართულ დემონსტრაციის დროს შუაგულ ქალაქში მოხდა შეტაკება დემონსტრანტებისა პოლიციასთან. პოლიციამ იარაღი იხმარა. დაიჭრა 25 კაცი.

ლონდონი. რეიტერის ცნობებით, საერთაშორისო საზღვაო კონფერენციაზე გაძნელდა მორიგება საომარ წესების შესახებ. არავითარი იმედი არ არის, რომ კონფერენციის მუშაობა მომავალ კვირაში გათავდეს. კამათი გაჭიანურდება, მიუხედავად იმისა, რომ წასაკითხები სპეციალურ კომისიებს აქვთ გადაცემული.

რუსეთი

ვარშავა. 26 იანვარს მრეწველობის მუზეის შენობაში გაიხსნება საკვირაო კურსები გლეხთა და მემამულეთათვის.

ტომსკი. შეიპყრეს სოციალ-დემოკრატების კომიტეტი. დაატუსაღეს 9 კაცი. აღმოაჩინეს დიდძალი არა ლეგალური ლიტერატურა, მიწერ-მოწერა და ბეჭდები.

ხარკოვი. უნივერსიტეტის ეკლესიაში გადახდილ იქმნა წირვა. აქტი არა ყოფილა, რაკი საქტო დარბაზის გვერდზე ახალ შენობას აგებენ. წირვის შემდეგ გაიმართა სადილი ყოფილ უნივერსიტეტის მოწაფეთა. ამ დღეს თეატრებმა და კინემატოგრაფებმა შემოსავლის ერთი მესამედი მისცეს შეუძლებელ სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოებას. უნივერსიტეტში 4537 სტუდენტია, 41 თავისუფალი მსმენელი, 358 თავისუფალი მსმენელი ქალი, 43 ფარმაცევტი, 104 საბებიო განყოფილების მოწაფე. მასწავლებელი 148-აა; ცხრა კათედრა თავისუფალია. უნივერსიტეტის შესანახად დახარჯა 480,350 მანეთი.

ვოზნესენსკი (ყუბანის ოლქი). ერთი თვის შეჩერების შემდეგ ხოლერა კვლავ გაჩნდა. დღე-ღამის განმავლობაში ავად გახდა 4, გარდაიცვალა 2 კაცი.

პეტერბურგი. 16 თებერვლიდან ექსპერიმენტალურ მედიცინის ინსტიტუტში არსდება სამი სამკვირეული უფასო კურსები ხოლერის ბაკტერიოლოგიისა და ეპიდემიოლოგიის შესასწავლად. აგრეთვე პრაქტიკულად შეასწავლიან ხოლერის ბაციცლების გამოცნობას და დეზინფექციის საქმეს. ამ კურსებზე გაიგზავნებიან ერობისა და ქალაქის დაწესებულებათა ექიმები. ხარჯი უნდა იკისროს იმ დაწესებულებამ, რომელიც გაჰგზავნის კურსებზე ექიმს.

ვარშავა. გუშინ საღამოთი ვიღაც უცნობებმა ვორონეიეის ქუჩაზე ტყვიით მოჰკლეს მუშა.

რეველი. ღამე პესოჩნის ქუჩაზე, ჩხრეკის დროს, შეიპყრეს ორი ჯარის კაცი, როდესაც ისინი პროკლამაციებს ჰბეჭდავდნენ. დაბეჭდილი პროკლამაციები წაიღეს.

ხარკოვი. აღმოაჩინეს სოფელ ბრიგადიროვკაში ოთხის მკვლელნი. უმთავრესი დ. ბაშავე დააპატიმრეს ხარკოვში; იგი გამოტყდა.

მოგილიოვი. გუშინ პოლიციამ დააპატიმრა პრაპორშჩიკი სტეპანოვი, რომელიც ხელის მოწერით აგროვებდა ფულს რუსეთ-იაპონიის ომში ნამყოფთა მხატვრულ ალბომის გამოსაცემად. სტეფანოვი ყალბ კვიტანციებს ასაღებდა თითქმის ორი წლის განმავლობაში 42 სხვა და სხვა ადგილას.

მინსკი. 17 იანვარს დილით ცეცხლი გაუჩნდა იმ შენობას, სადაც მოთავსებული იყო გზის რემონტის სამმართველო და ლიბავო-რომენის გზის ლაბარატორია. შენობა მთელი დღე იწოდა. დაიწვა ბევრი საქმის ქაღალდი და საბუთი.

პეტერბურგი. 20 იანვარს მოხდება მე-32 სხდომა სახელმწიფო საათობიროსი. ამ სხდომაზე განიხილავენ წვრილმან საქმეებს.

სახალხო უნივერსიტეტის საზოგადო კრება

18 იანვარს ზუბალაშვილის სახელობის სახალ სახლში, ალ. ხატისოვის თავმჯდომარეობით, მოხდა საგანგებო კრება ტფ. სახალხო სუნივერსიტეტი საზოგადოებისა. კრება დილის 11-ნახევარ საათზედ დაიწყო. კრება დანიშნული იყო დილის 10 საათისათვის, მაგრამ 12 საათამდე ძლივს შეიკრიბა სხდომის დასაწყებად კანონიერი რიცხვი წევრებისა. განედა ინტერესი ისეთ სიმპატიურ დაწესებულებისადმი როგორიც სახალხო უნივერსიტეტია. წინა კრებას თუ 200—300 კაცი ესწრებოდა, 18 იანვარს ძლივს გაჭირვებით შეიკრიბა 50—60 კაცი. გუდლიობა საწევრო ფულის შეტანაშიაც სჩანს. ძველებს ნაკლებად შეაქვთ ფული, ახლებიც ადარ ეწერებიან.

საზოგადო კრებას იმ დღეს განსახილველად წარედგინა საკრებულო კომისიის მოხსენება. საკრებულო კომისიას განუხილავს გამგეობის 1907 წლის მოქმედების ანგარიში და ეოკუდეგე წესიერად ნაწარმოები უნახავს. საკრებულო კომისია ისე გაუტანია გამგეობის ვითომდა ნაყოფიერ მოქმედებას, რომ თავის მოხსენებაში კრებას წინადადება მისცა, დრმა მადლობა გამოუცხადოთ გამგეობისა.

საკრებულო კომისიის წევრი მადაკოედოვი არ დაეთანხმა კომისიის მოხსენებას და ითხოვა, კრებამ არ დაამტკიცოს ანგარიში.

თავმჯდომარე. სოქვით, რაშია საქმე. კრებამ დაწვრილებით უნდა გაიგოს ძველ გამგეობის მოქმედების ეოველიეკ წვრილმანი. ეგრე ეჭვებით და გადაგვრით დაპარაკი არ შეიძლება.

ნ. ელიავა. ჩვენს მოხსენებაში არაფერია დაფარულ-დამალული. რაც გვაკვეთ და ვიცით, ყველაფერი მოხსენებაშია გამოყვანილი. იქნება ბ-ნმა მადაკოედოვმა იცოდეს რამე, რატომ არ ამბობს?

ვახ. რეხიდაძემ და გეკეკელმა სოქვეს, რომ სტუდენტმა ოსიპოვმა საბაკოში გაიოდა ერთი საკვიტანციო წიგნი. ჩვენ იმედი გვაქვს წიგნის დაბრუნებისა, ფულსაც დაგებრუნებს, რაც აუდია წევრებისაგან. სხვა თუ რაშეა, საკრებულო კომისიის წევრმა უნდა სოქვასო.

მალაკოედოვი. არა, სხვაც ბევრი რამ გახდაო!

პ. ჭიჭინაძე. კიდევ ეჭვები და გადაგვრით დაპარაკი! საოცარია ბ-ნ მადაკოედოვის მოქმედება. იგი ისე დაპარაკობს, თითქო სახოგადოებაში რადაც მომხდარიყოს და ვმადაგდეთ. მადაკოედოვმა უსათუოდ აქვე უნდა სთქვას ეველაფერი.

მალაკოედოვი. ორატორმა აუხსნა დამსწრეთ, როგორ აწყობდ-დაწყობდა ეოფილ საქმეებს გამგეობაში. მან სოქვა: გამგეობის ხაზინადარი ვიდაცეეებს საკვიტანციო წიგნებს ურიგებდა, რის გამოც რამდენიმე წიგნი დაიკარგა, რამდენიმე თუმცა დაუბრუნეს, მაგრამ ამ წიგნებით მოგროვილი ფული, კასაში არ შესულა და სხვა. ავანსად ფული მიეცა სხვა და სხვა სექციას და მათ არც ანგარიშები წარმოადგინეს ფულის დასარჯვისა და არც ფული დაბრუნეს. საწევრო ფული ბევრგან მოუგროვებიათ, მაგრამ კასაში-კი არ შეუტანია და სხვა. ფული კასესხეს, მაგრამ ზოგს აქამდე არ დაუბრუნებიათ.

ნიკ. ელიავა. რამდენიმე სხდომა ქონდა საკრებულო კომისიას, მადაკოედოვის განცხადების შესახებ. ეველა ამ ცნობების შესახებ, რომელიც აქ ბ-ნმა მადაკოედოვმა დასახელა, ჩვენ გამოგიკითხეთ, გამოგიკვლიეთ და ადმოჩნდა, რომ არაფ

არს ბორტ-განზრახვა ადგილი არა ქონია. იყო მხოლოდ რამდენიმე არა სასიამოვნო მოვლენა, მაგ., საკვიტანციო წიგნების ნაცნობებზე დარიგება არა ხელწერილ ქვეშ და სხვა ამგვარი; მართალია, სტუდენტმა ოსიპოვმა და არშაკ ბაბოვმა საკვიტანციო წიგნები კიიოდეს, მაგრამ არაფითარი შიში არ არის რომ, წიგნები ან ფული დაიკარგოს. გამგეობა დიდსი დრმა მადლობისა, დაამთავრა ორატორმა.

კამათმა ორ საათს გასტანა. ერმადოვმა, სიმონოვმა და ზოგმა სხვამაც მოითხოვა საკრებულო კომისიის დამატებითი წევრების არჩევა და ანგარიშების ხელ-ახლა გადათვალიერება. უმრავლესობა წინააღმდეგი იყო. დასასრულ, კრებამ დამტკიცა 1907 წლის ანგარიში.

კრებამ დაადგინა, დრმა მადლობა გამოუცხადოს გამგეობის წევრებს ნაყოფიერ მოქმედებისათვის.

კრებამ ამავე სხდომაზე მოასწრო სექციების სახელმძღვანელო ინსტრუქციის პროექტის განხილვა.

ინსტრუქციით, სექციების შედგენა ევალება გამგეობას საზოგადოების წევრებისაგან. სექციაში უნდა შედგეს არა უმეტეს 20 წევრის. გამგეობის ერთმა წევრმა მოანწილეობა უნდა მიიღოს სექციის მუშაობაში გადამწყვეტის ხმით. ბირველ სხდომაზე სექცია აირჩევს ადმასრულებელ ორგანოს—თავმჯდომარეს, მდივანს და ხაზინადარს, რომელთაც გამგეობის წევრთან ერთად უნდა შეადგინონ საბჭო. სექცია შეიმუშავებს მოქმედების პროგრამას და წარუდგენს დასამტკიცებლად გამგეობის და სექციის შეერთებულ სხდომას, აირჩევს მასწავლებლების და დოკტორების კანდიდატებს, წარუდგენს დასამტკიცებლად გამგეობას და აგრეთვე თავის მოქმედების ანგარიშს და ხარჯთაღრიცხვას.

ამ მუხლმა დიდი კამათი გამოიწვია.

გ. რცხილაძე. როგორც პრაქტიკამ დაამტკიცა, სახალხო უნივერსიტეტის თითქმის ეველა საქმის გამგეობელი, და სული და გული სახოგადოებისა სექციაა. თუ გვინდა, რომ საზოგადოების მუშაობა ნაყოფიერი იყოს და უფრო გაფართოვდეს, აი ამ დაწესებულებას უნდა მიეცეს თავისუფლად მოქმედების უფლება. მესამე მუხლით კი სექცია შებოჭვიდი იქნება. სექციას წვრილმანის გაკეთებაც კი არ შეუძლიან გამგეობის დუკითხავად. ამ პირობებში ძნელია, რომ საზოგადოების მოქმედებამ საკრებულო ნაყოფი გამოიღოს. ამიტომ ინსტრუქციის ეს მუხლი სულ უნდა შეეცვალოთ. საზოგადება უნდა მოეწეოს ფედერატიულს ნიადაგზე. თითოეული სექცია დამოუკიდებელი უნდა იყოს ამ საკითხების გადაწყვეტა-განხორციელების დროს, რომელიც შეეხება თითოეულს ერს. გამგეობა სექციებს აერთებს მხოლოდ ეველასათვის საზოგადო საქმეებში და სხვა.

ბ. რცხილაძეს აზრს მხარი დაუჭერეს ექ ფეოდოროვმა, ერმადოვმა, ეგინგულოვმა და სხვებმა.

წინააღმდეგნი იყვნენ გამგეობის წევრი ჭიჭინაძე, მეკეკელი და სხვანი.

კრებამ უცვლელად დასტოვა მესამე მუხლი. ამის შემდეგ საკვირველი ადარ

ფელეტონი

სურატის ყავახანა

ლევ. ტოლსტოისა.

ინდოეთს, ქალაქ სურატში იყო ყავახანა. ამ ყავახანაში ხშირად იკრიბებოდა და მუსაიფობდა სხვა და სხვა სარწმუნოების ხალხი. სხვათა შორის ერთხელ იქ შევიდა სპარსელი ნასწავლი ღვთის-მეტყველი, რომელიც მთელ თავის სიცოცხლეს ანდომებდა ღვთაების შესწავლას და რომელიც ძლიერ ბევრს ფიქრობდა და სწერდა ამ საგანზე. იგი დღეებს აღამებდა და ღამეებს ათენებდა ამაზე, რის გამოც დომხალივით აერია თავში ყველაფერი და ბოლოს იქამდე მივიდა, რომ უარჰყო ღმერთი. ეს გაიგო მეფემ და გაძევა თავის სამფლობელოდან.

ამ ღვთის-მეტყველს ჰყავდა ერთი აფრიკელი მონა, რომელიც სულ უკან დასდევდა ბატონს. როდესაც ღვთის-მეტყველი ყავახანაში შევიდა, მონა გარედ დარჩა და იქვე, მზიგულში, ქვაზედ ჩამოჯდა. საბრალო მონა გაცხარებით იგერებდა ბუზებს, რომელნიც მზეზე გამოფენილნი, მწარედ ჰკბენდნენ. ყავახანაში ღვთის-მეტყველი რბილად დაჯდა დამზადებულ საჯდომზე და ბრძანა, რომ მისთვის მიერთმიათ ოპიუმი. როდესაც ძალზე გამბრუნდა ოპიუმით, ღვთის-მეტყველი მიუბრუნდა თავის მონას და ჰკითხა:

— მონავ, გმობილო, როგორ ფიქრობ, ღმერთი არის თუ არა?

— რასაკვირველია არის,—მიუგო მონამ და თვალის დახამხამებაზე ამოიღო ტბიდან ხისაგან გაკეთებული კერპის სახე—აი, ის ღმერთი, რომელიც მიფარავს მე დაბადებიდან მოკიდებული. ეს ღმერთი იმ ხის ნაფოტისაგან არის გაკეთებული, რომელსაც თაყვანსა სცემს მთელი ჩვენი ქვეყნის ხალხი,—დაათავა მონამ.

მონისა და ღვთისმეტყველის ასეთმა მუსაიფმა, ძლიერ გააკვირვა ყველა იქ მყოფი. ერთი ბრამინი, რომელმაც მოისმინა მონის ნალაპარაკევი, მიუბრუნდა მას და უთხრა:

— აი, შეუჭკუოვ, შენა! განა შეიძლება კაცის უბეში ღმერთის ყოფნა? ღმერთი არის მხოლოდ ბრამა, რომელიც ყველაზე მეტია და რომელმაც შეჰქმნა ქვეყანა. ბრამა არის ერთად-ერთი ძლიერი ღმერთი, რომლის სადიდებლადაც ვეებერთელა ტაძრებია აგებული განგესის ნაპირებზე. ეს ის ღმერთია, რომელსაც კრძალვით ემსახურა ყველა ქურუმი, მხოლოდ ეს ქურუმები არიან რომ სცნობენ ჭეშმარიტ ღმერთს. აგერ ოცმა საუკუნემ განვლო, რამდენი რამე მოხდა ქვეყანაზე, მაგრამ ქურუმთ ისევ ისე მტკიცედ სწამთ ბრამა, რადგან იგი ერთად-ერთი ჭეშმარიტი ღმერთია, რომელიც იფარავს მათ.

ასე მსჯელობდა ბრამინი, რომელიც სცდილობდა დაეჯერებინა ყველა იქ მყოფი თავის სიტყვების ჭეშმარიტებაში, მაგრამ იქვე მყოფი ებრაელი შეება მას.

— სულაც არა,—სთქვა მან:— ტაძარი ჭეშმარიტ ღვთისა ინდოეთში არ არის... ჭეშმარიტი ღმერთი არის არა ბრამინებისა, როგორც შენა გგონია, არამედ აბრაამისა, ისაკისა და იაკობისა. ჭეშმარიტი ღმერთი მფარველობას უწევს თავის ერთად-ერთ ხალხს, ისრაელს. ღმერთს ქვეყნის შექმნიდანვე უყვარდა და ეყვარება მხოლოდ ჩვენი ხალხი; რაუყოთ, რომ ჩვენ გაფანტულნი ვართ მთელ ქვეყანაზე და ერთად არა ვცხოვრობთ! ეს მხოლოდ გამოსაცდელად ჰქნა ღმერთმა. ალგვითქვა, რომ შეგკვრებს იერუსალიმში. აღვადგენთ მთელ ჩვენ წარსულ სიამაყეს, აღვადგენთ იერუსალიმის დიდებულ ტაძარს და გავამეფებთ ქვეყანაზე ისრაელს,—ასე სთქვა ებრაელმა და დაიწყო ტირილი.

იმას უნდოდა განეგრძო სიტყვა, მაგრამ იქვე მყოფმა იტალიელმა შეაწყვეტინა.

— თქვენ ტყუილს ამბობთ,—უთხრა იტალიელმა ებრაელს:—თქვენ თქვენი ლაპარაკით უსამართლობას აბრალებთ ღმერთს, რაც შეუნდობელ ცოდვად ჩაგეთვლებათო. ღმერთს არ შეუძლიან ერთის რომელიმე ხალხის შეყვარება და დანარჩენთა შეძულება. მართალია, წინად ღმერთი იფარავდა ისრაელს, მაგრამ ათას რვაასმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც იგი განრისხდა თქვენზე, მოსპო თქვენი არსებობა და გაგფანტათ მთელ ქვეყანაზე. ასე რომ თქვენი სჯული, გავრცელების მაგიერ, თან და თან ისპობა. ღმერთი მოუწოდებს ყველას, ვისაც კი უნდა შველა, იყოს მიმდევარი რომის ეკლესიისა, რომლის გარეშეც, არავითარი ცხონება არ არის—ასე სთქვა იტალიელმა.

იქ მყოფი პროტესტანტთა მღვდელი, ნაწყენი იტალიელისაგან, მიუბრუნდა და დაუწყო პროტესტანტთა უპირატესობის მტკიცება. მაშინ იქვე მყოფი მაჰმადიანი, რომელიც მსახურებდა სურატის ერთ დაწესებულებაში, შეება მოკამათე ქრისტიანებს.

— ძალიან შემცდარნი ჰყოფილხართ, თუ დარწმუნებულნი ხართ რომის ეკლესიის ჭეშმარიტებაში,—სთქვა მაჰმადიანმა:—აგერ ექვსასი წელიწადია, რაც თქვენი სჯული შესცვალა მაჰმადის ჭეშმარიტმა სჯულმა. როგორც თვითონ ხედავთ, მაჰმადის სჯული, რამდენიც დრო გადის, იმდენი უფრო ვრცელდება. როგორც ევროპასა და აზიაში, ისე განათლებულ ჩინეთშიაც. თქვენ თვითონ არ ამბობთ, რომ ებრაელების სარწმუნოება, გავრცელების მაგიერ, თან და თან ისპობა. მაშ, სცანით ჭეშმარიტად მაჰმადის სჯული, რადგან იგი მუდამ დიდებაშია და მუდამაც ვრცელდება. ცხონებულ იქმნებიან მხოლოდ ისინი, რომელნიც იწამებენ მაჰმადს და მასთან ომარის მიმდევრები და არა ალისა, რადგან ალის მიმდევრები ცრუ-მორწმუნენი არიან.

აქ სპარსელ ღვთისმეტყველს უნდოდა გაეცა პასუხი მაჰმადიანისთვის, რადგან იგი ალის მიმდევარი იყო, მაგრამ ამ დროს ყავახანაში გაცხარდა კამათი სხვა და სხვა სარწმუნოების წარმომადგენელთა შორის და ამან ხელი შეუშალა. ისინი მსჯელობდნენ ღმერთზე და იმაზე, თუ რანაირად უნდა ადიდონ იგი. ყოველი მათგანი სცდილობდა დაემტკიცებია, რომ მხოლოდ იმათ ქვეყანაში სცნობენ ჭეშმარიტ ღმერთს და კიდევაც ადიდებენ შესაფერად. დიდაურზაური და აყალმაყალი იყო ამ დროს ყავახანაში. ხმას არ იღებდა და არ ერეოდა იმათ კამათში, მხოლოდ ერთი ჩინელი, კონფუციის მიმდევარი, რომელიც იჯდა კუთხეში და ჩაის შეექცეოდა. ის გულმოდგინედ უგდებდა ყურს ყველაფერს, რასაც ლაპარაკობდნენ მის გარშემო, მაგრამ თვითონ კრინტსაც კი არა სძრავდა. მაჰმადიანმა, რომელმაც დაინახა იგი წყნარად კუთხეში მჯდომი, მიმართა შემდეგის თხოვნით:

— შენ მაინც დამეხმარე, კეთილო ჩინელო! რად გაჩუმებულხარ ამ დროს, როდესაც შეგიძლიან ერთი-ორი რამდენიმე სიტყვა ჩემ სასარგებლოდ. მე კარგად ვიცი, რომ ჩინეთში ეხლა ბევრნაირი სარწმუნოება ვრცელდება. ჩემთვის ბევრჯელ უთქვამთ თქვენებურ ვაჭრებს, რომ ჩინელებს სხვა სჯულზე უფრო მაჰმადის სჯული მოსწონთო. მაშ, დამეხმარე და სთქვი რამე, ჭეშმარიტ ღმერთზე და იმის წინასწარმეტყველზე.

— ჰო, ჰო, რას ჩაჩუმებულხარ. სთქვი!—მიაძახეს სხვებმაც. კონფუციის მიმდევარმა ჩინელმა ამოიფშვნიტა თვალები და დაფიქრდა. შემდეგ, გამოჰყო ხელები თავის ტანისამოსის ფართო სახელოებიდან, დაილაგა გულზე და დაიწყო ლაპარაკი წყნარის ხმით.

— ბატონებო! ადამიანებს სარწმუნოების გამოკვლევაში ხელს უშლით თავმოყვარეობა. თუ თქვენ ინებებთ და მომისმენთ, მე ამას მაგალითით დაგიმტკიცებთ. ერთხელ ჩინეთიდან სურატში წამოვედი ინგლისელთა გემით, რომელმაც მთელი ქვეყანა შემოიარა. გზაზე გადავედით კურნძულ სუმატრის ნაპირზე, რომ მიგვეღო დასალევი წყალი. შუადღისას გადავედით ნაპირზე და ზღვის პირად, ერთ იქაურ სოფლის მახლობლად, ჩრდილში დავსხედით. რამდენიმე კაცი ვიყავით, სხვა და სხვა ქვეყნიდან. ჩვენთან ვიღაცა ბრბმა მოვიდა. როგორც გავიგე, ერთხელ თურმე ამ კაცს განეზრახა შეეტყო, რა არის მზე. ამ აზრით მისჩერებოდა მზეს, რომლის სხივებმაც თვალები გაუფუჭეს და დაბრმავეს. იმისთვის უნდოდა თურმე ამისი გაგება, რომ მზის სინათლის დაპყრობა სწადდა. მეცნიერებასაც კი მიმართა, რომ იქ მაინც მოენახა რამე წამალი თავის სურვილის მისაღწევად. მას სურდა რამდენიმე სხივის დაპერა და მათი ბოთლში მოთავსება. დიდხანს სცდილობდა ამ საქმის სისრულეში მოყვანას, მაგრამ ვერაფერი გააწყო იმის მეტი, რომ თვალები დაიბრმავა. შემდეგ, ვითომ გონს მოვიდა და სთქვა: „მზის სინათლე არ არის სითხე, რადგან სითხე რომ იყოს, შესაძლებელი იქნებოდა მისი რამე ჭურჭელში მოთავსება და ქარიც ისე შეარხევდა როგორც წყალს. მზის სინათლე არ არის ცეცხლი, რადგან, ცეცხლი რომ იყოს, წყალში გაჰქრებოდა. მზის სინათლე არც სულია, რადგან თვალით არა სჩანს და არც სხვა რაიმე საგანი, რადგან, ბევრიც რომ ეცადო, ხელს ვერ მოჰკიდებ. მაშასადამე, რადგან მზის სინათლე არც სითხეა, არც ცეცხლი, არც სული და არც სხვა რაიმე საგანი, იგი არარა ყოფილაო“. დაადგა ამ დასკვნას და ერთხელ, როდესაც სულ მზეზე ფიქრობდა და მას მისჩერებოდა, დაჰკარგა მხედველობაცა და გონებაც. როდესაც სრულიად დაბრმავდა, დარწმუნდა, რომ მზე არ არის. იმ ბრმასთან ერთად ჩვენთან მოვიდა მისი მონაც. მონამ დასვა ბატონი ჩრდილში, აიღო მიწიდან კოკოსის კაკალი და შეუდგა მისგან სანათურის დამზადებას. გააკეთა ქერქისაგან ჟინჟღილი, გამოსწურა კაკლის ნაჭუჭში ზეთი და ამოავლო შიგ. როდესაც მონამ დაასრულა მუშაობა, ბატონმა სთქვა: „ხომ მართალი გითხარ, მონავ, მზე არ არის მეთქი. ჰხედავ, რა ბნელა. თუმცა ამბობენ, რომ მზე... მართლაც და რა არის მზე?“ „მე არ ვიცი, რა არის მზე,—მიუგო მონამ,—მე მასთან საქმე არა მაქვს, მაგრამ სინათლე კი ვიცი, რა არის. აი, მე სანათური გავაკეთე. ამით თქვენც გემსახურებით და მეც მოვნახავ საჭირო ნივთებს ჩემ ქოხში“. მონამ აიღო ხელში კაკლის ხეტეკი—„აი ჩემი სინათლე“,—სთქვა მან. იქვე იჯდა ერ-

ჭორის გამო

თქვენი გაზეთის მე-12 ნომერში (17 იანვარს) მოთავსებულია წერილი ბ-ნ რისხვასი „კიდევ ჭორების შესახებ“. ბ-ნი რისხვა ამბობს, რომ ამ რამდენიმე თვის წინად ვიღაც ცრუ ექიმმა შეირთო ს. ფარცხნალის მცხოვრების იპოლიტე სვანიძის ქალი და, წაიყვანა რა იგი, თითქმის სამი თვე იქნება მ[illegible]ობლებს აღარაას ატყობინებსო. ამ გარემოგებლოდ. მე კარგად ვიცი, რომ ჩინეთში ეხლა ბევრნაირი სარწმუნოება ვრცელდება. ჩემთვის ბევრჯელ უთქვამთ თქვენებურ ვაჭრებს, რომ ჩინელებს სხვა სჯულზე უფრო მაჰმადის სჯული მოსწონთო. მაშ, დამეხმარე და სთქვი რამე, ჭეშმარიტ ღმერთზე და იმის წინასწარმეტყველზე.

— ჰო, ჰო, რას ჩაჩუმებულხარ. სთქვი!—მიაძახეს სხვებმაც. კონფუციის მიმდევარმა ჩინელმა ამოიფშვნიტა თვალები და დაფიქრდა. შემდეგ, გამოჰყო ხელები თავის ტანისამოსის ფართო სახელოებიდან, დაილაგა გულზე და დაიწყო ლაპარაკი წყნარის ხმით.

— ბატონებო! ადამიანებს სარწმუნოების გამოკვლევაში ხელს უშლით თავმოყვარეობა. თუ თქვენ ინებებთ და მომისმენთ, მე ამას მაგალითით დაგიმტკიცებთ. ერთხელ ჩინეთიდან სურატში წამოვედი ინგლისელთა გემით, რომელმაც მთელი ქვეყანა შემოიარა. გზაზე გადავედით კურნძულ სუმატრის ნაპირზე, რომ მიგვეღო დასალევი წყალი. შუადღისას გადავედით ნაპირზე და ზღვის პირად, ერთ იქაურ სოფლის მახლობლად, ჩრდილში დავსხედით. რამდენიმე კაცი ვიყავით, სხვა და სხვა ქვეყნიდან. ჩვენთან ვიღაცა ბრბმა მოვიდა. როგორც გავიგე, ერთხელ თურმე ამ კაცს განეზრახა შეეტყო, რა არის მზე. ამ აზრით მისჩერებოდა მზეს, რომლის სხივებმაც თვალები გაუფუჭეს და დაბრმავეს. იმისთვის უნდოდა თურმე ამისი გაგება, რომ მზის სინათლის დაპყრობა სწადდა. მეცნიერებასაც კი მიმართა, რომ იქ მაინც მოენახა რამე წამალი თავის სურვილის მისაღწევად. მას სურდა რამდენიმე სხივის დაპერა და მათი ბოთლში მოთავსება. დიდხანს სცდილობდა ამ საქმის სისრულეში მოყვანას, მაგრამ ვერაფერი გააწყო იმის მეტი, რომ თვალები დაიბრმავა. შემდეგ, ვითომ გონს მოვიდა და სთქვა: „მზის სინათლე არ არის სითხე, რადგან სითხე რომ იყოს, შესაძლებელი იქნებოდა მისი რამე ჭურჭელში მოთავსება და ქარიც ისე შეარხევდა როგორც წყალს. მზის სინათლე არ არის ცეცხლი, რადგან, ცეცხლი რომ იყოს, წყალში გაჰქრებოდა. მზის სინათლე არც სულია, რადგან თვალით არა სჩანს და არც სხვა რაიმე საგანი, რადგან, ბევრიც რომ ეცადო, ხელს ვერ მოჰკიდებ. მაშასადამე, რადგან მზის სინათლე არც სითხეა, არც ცეცხლი, არც სული და არც სხვა რაიმე საგანი, იგი არარა ყოფილაო“. დაადგა ამ დასკვნას და ერთხელ, როდესაც სულ მზეზე ფიქრობდა და მას მისჩერებოდა, დაჰკარგა მხედველობაცა და გონებაც. როდესაც სრულიად დაბრმავდა, დარწმუნდა, რომ მზე არ არის. იმ ბრმასთან ერთად ჩვენთან მოვიდა მისი მონაც. მონამ დასვა ბატონი ჩრდილში, აიღო მიწიდან კოკოსის კაკალი და შეუდგა მისგან სანათურის დამზადებას. გააკეთა ქერქისაგან ჟინჟღილი, გამოსწურა კაკლის ნაჭუჭში ზეთი და ამოავლო შიგ. როდესაც მონამ დაასრულა მუშაობა, ბატონმა სთქვა: „ხომ მართალი გითხარ, მონავ, მზე არ არის მეთქი. ჰხედავ, რა ბნელა. თუმცა ამბობენ, რომ მზე... მართლაც და რა არის მზე?“ „მე არ ვიცი, რა არის მზე,—მიუგო მონამ,—მე მასთან საქმე არა მაქვს, მაგრამ სინათლე კი ვიცი, რა არის. აი, მე სანათური გავაკეთე. ამით თქვენც გემსახურებით და მეც მოვნახავ საჭირო ნივთებს ჩემ ქოხში“. მონამ აიღო ხელში კაკლის ხეტეკი—„აი ჩემი სინათლე“,—სთქვა მან. იქვე იჯდა ერ-

ებას ადგილობრივ მცხოვრებთა შორის თურმე საოცარი მითქმა-მოთქმა და საჭ ზღარი ჯორები გამოუწვევია.

ამ ჯორების თავიდან ასაცილებლად გატყობინებთ შემდეგს: ის კაცი არის სოფ. ოფრეთის მცხოვრები დიმიტრი ანდრიასძე ანდერადვი. ამ ორი თვის წინად შემთხვევით გავიცანი ისა და მისი ახალგაზდა მეუღლე ანეტა თუ ნადეჟდა (აღარ მახსოვს) სვანიძე სოფ. სადახლოში, როცა ისინი ახლად დაქორწინებულნი მიემგზავრებოდნენ სოფ. ოფრეთში.

თუ სვანიძის შშობლებს უნდათ თავიანთ ქალის ნახვა, უნდა ჩამოვიდნენ სად. სადახლოში ყარსის რკინის გზაზე. იქ უთხრან მებუფეტეს, რომელიც მოიყვანს ჩემთან და შემდეგ მე მოვიყვან თავიანთ სიძექალის სახლში.

ბარნაბა ღოღობერიძე.

ახალი ამბავი

ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ პირველი ქართული წიგნი. როგორც მკითხველებმა იციან, წერა-კითხვის საზოგადოებას განზრახვა აქვს გამართოს გამოფენა ქართულ სტამბის დაარსებიდან 200 წლის თავის აღსანიშნავად. აქამდე ფიქრობდნენ (დავ. კარიჭაშვილი „წიგნის ისტორია“), რომ პირველი წიგნი ვახტანგ მეფის მიერ მოწყობილ სტამბაში დაიბეჭდა 1712 წელს. ამ დღეებში რუსეთიდან კაპიტან ალექსანდრე ანდრონიკაშვილისაგან წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ მიიღო მხედრული ასოებით 1711 წელს დაბეჭდილი წიგნი „დავითნი“. წიგნის პირველ გვერდზე შემდეგია დაბეჭდილი ქართულ მხედრულ ასოებით: „აწ მეორე დაბეჭდული ქართულ ენასა ზედა: ჟამსა ამაღლებულისა მეფისა უ“ისა უ“ისა ქაიხოსროსსა: შრომითა და წარსაგებელითა საფასეთათა განმგებელისა მისისა ბატონიშვილის უ“ისა უ“ისა ვახტანგისსა: ხელითა მესტამბე მიხეილ სტეფანე შვილისა უნგრო ვლახელისა ქალაქსა ტფილისისასა ქრისტეს აქათ: ათას შვიდას და თერთმეტი: გაიმართა ხელითა სიონის დეკანოზის შვილის გაბრიელისათა“. წიგნის მეორე გვერდზე დახატულია ქართველ მეფეთა გერბი. ქვეშ ხუცური ასოებით დაბეჭდილია ცნობა სურათის ასახსნელად. მესამე გვერდზე მხედრულის ასოებით მოკლე ცნობაა მეფე ვახტანგის მიერ უნგრეთიდან მესტამბეების მოწვევის შესახებ და ქვეშ ბერძნული ლექსია მოყვანილი. დავითნის ფურცელზე არის კაცის სურათი ჯვარით ხელში. სურათის გარშემო ხუცური ასო-მთავრული ასოებით დაბეჭდილია რაღაც ცნობა, რომელიც ჯერ ვერ წაიკითხეს. ამრიგად, ირღვევა ის აზრი, ვითომ პირველი ქართული წიგნი 1712 წელს დაბეჭდილიყოს.

✦ ამხანაგობის სტამბა. უკვე აღვნიშნეთ, რომ ქართველთა გამომცემელ ამხანაგობის სტამბის ადმინისტრაციამ დაკეტა სტამბა და მუშები დათხოვნილად გამოაცხადა. კვირაზე მეტია, სტამბაში მუშაობა შესწყდა. უკანასკნელ დღეებში სტამბის ადმინისტრაციამ მუშებს გამოუცხადა: მუშაობის განახლება შეიძლება, თუ შემდეგ პირობებს მიიღებთო: 150 მუშის ნაცვლად უნდა დარჩეს 80 მუშა: სამუშაო დღედ უნდა დაინიშნოს 9 საათი და მუშებმა დღიურ მუშების პირობებში უნდა იმუშაონ. მუშებმა წარმომადგენელთა პირით შეუთვალეს ადმინისტრაციას, რომ ისინი თანახმანი არიან მხოლოდ მუშათა შტატის შემცირებისა.

✦ ოპერა „ბოგემა“. დღეს, 20 იანვარს, სახაზინო თეატრში წარმოდგენილი იქნება ოპერა „ბოგემა“. მამის როლს შეასრულებს მომღერალი ქ-ნი ვან-ბრანდტი. ქ-ნი ვანბრანდტი ტფილისის გასტროლების შემდეგ მიდის ბაქოში, მერე ოდესასა და ხარკოვში.

✦ ყუმბარის აფეთქება ბაქოში. ბაქოში ვიღაცეებს ხუბლაროვის არყის საწყობში ყუმბარა შეუგდიათ. ყუმბარის ხმა მთელ ქალაქში გაუგონიათ. ხუბლაროვის საწყობში ყუმბარისაგან დამსხვრეულა აუარებელი არყის ჭურჭელი, არყიანი ბოჩკები და სხვა. საწყობში ყოფილა

თი კოკლი. მას ესმოდა ყოველივე ეს და ერთი რიგიანად ჩაიცინა. „შენ, გეტყობა, დაბადებიდან ბრმა უნდა იყო,—უთხრა კოკლმა ბრმას, —რომ არა გცოდნია, რა არის მზე. აი, მე გეტყვი რა არის მზე. მზე არის ვეებერთელა ცეცხლის ბურთი, რომელიც ყოველ დღეს ამოდის ზღვების იქიდან და საღამოზე ჩადის ჩვენი კუნძულის მთებში. ამას ჩვენ ყველანი კარგად ვხედავთ და შენ რომ ბრმა არ იყო, შენც დაინახავდი“. ამ სიტყვებს ყური მოჰკრა იქვე მახლობლად მჯდომმა მეთევზემ—„შენ, ჩემო ძმაო, გეტყობა ჩვენ კუნძულს არ გასცილებიხარ, თორემ მაგას არ იტყოდი. რომ შენ კოკლი არ იყო და დადიოდე ხშირად ზღვით, გეცოდინებოდა, რომ მზე ჩვენი კუნძულის მთებში კი არ ჩადის, არამედ ამოდის ზღვიდან და ზღვაშივე ჩადის. მე ვამბობ სრულ ჭეშმარიტებას, რადგან ამას ჩემი თვალითა ვხედავ ყოველდღეს“. ეს გაიგონა ინდოელმა. „მიკვირს,—სთქვა მან,—როგორ შეიძლება, რომ ცეცხლის ბურთი არ გაჭკრეს, როდესაც იგი წყალში ჩაეშვება! მზე სრულიადაც არ არის ცეცხლის ბურთი, როგორც შენა გგონია. მზე არის ღვთაება და ეს ღვთაება არის დევა. იგი დადის ცაზე სპერუვის ოქროს მთის გარშემო. ისიც კი მოხდება ხოლმე, რომ ისეთი ვეებერთელა გველები, როგორნიც არიან რაგუ და კეტუ, ჩაჰყლაპავენ ხოლმე დევას და მაშინ ბნელდება. მაგრამ ჩვენი ქურუმები ლოცულობენ, რომ ღვთაება განთავისუფლდეს და აი მაშინაა, რომ ამოცურდება ხოლმე მზე ზღვიდან. მხოლოდ თქვენისთანა უმსგავს ადამიანებსა, რომელნიც კუნძულს არ გასცილებიან, შეუძლიანთ წარმოიდგინონ რომ მზე ანათებს მხოლოდ იმათ კუნძულზე“. ამის შემდეგ დაიწყო ლაპარაკი ეგვიპტელთა გემის უფროსმა. „სულაც არა! არც ეგ არის მართალი—სთქვა მან:—მზე არის ღვთაება და არც მარტო ინდოეთისა და იმის ოქროს მთის გარშემო დადის. მე ბევრი მივლია შავი ზღვით, ვყოფილვარ აგრეთვე არაბეთის ნაპირზე, მადაგასკარზე და ფილიპეს კუნძულებზედაც. მზე ანათებს მთელ დედა მიწას და არა მარტო ინდოეთს. იგი ამოდის იაპონიის მხარეს, და ამიტომ იმ კუნძულებს ჰქვიან იაპენ, ე. ი. იმათ ენაზე რომ ვთქვათ, ამომავალი მზის ქვეყანა, და ჩადის შორს, ძალიან შორს, ინგლისის კუნძულებს იქით. ეს მე კარგად ვიცი და სრული ჭეშმარიტებაცაა, რადგან თვითონ ვნახე და განსვენებული ბებია ჩემისაგანაც ასე გამიგონია ამის შესახებ“. მას უხდოდა განეგრძო ჩვენთან მუსაიფი, მაგრამ იქვე მყოფმა ინგლისელმა მეზღვაურმა შეაწყვეტინა. „არ არის ქვეყანა, გარდა ინგლისისა, სადაც უკეთ იცოდნენ, როგორ დადის მზე. ინგლისში ყველამ კარგად ვიცით, რომ მზე არსაიდან ამოდის და არც არსად ჩადის. იგი დადის განუწყვეტლივ დედა-მიწის გარშემო. ჩვენ ეს კარგად ვიცით, რადგან დიდი ხანი არაა, რაც ქვეყანა შემოვიარეთ, მაგრამ მზეს ვერსად ვერ შევეყარეთ. ის ყველგან არის, სადაც უნდა წახვიდე. დილით გამოჩნდება, საღამოთი კი მიიმალება“. აქ მეზღვაურმა აიღო ხელში ჯოხი, გამოხატა რგოლები და დაიწყო მსჯელობა იმაზე, თუ რანაირად დადის მზე დედა-მიწის გარშემო, მაგრამ მან ვერ შესძლო ამის რიგიანად დამტკიცება, და გაიშვირა ხელი მახლობლად მჯდომ თავის ამხანაგისაკენ: „აი ის კაცი, ჩემზე უფრო მცოდნე და გამჭრიახი ჭკუიდი აუზი, რომელშიაც 1500 ვედრო სპირტი ინახებოდა. ყუმბარას აქამდის ვერ მიუხწევია, თორემ მთელი შენობა ნაფოტებად იქცეოდა.

✦ აკრძალვა. გუბერნატორმა მისწერა გუშინ ქალაქის თავის მოადგილეს, ქალაქის საბჭოს განსახილველ საქმეთა სიიდან გამორიცხეთ მოხსენება კალაბრიასა და სიცილიაში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ 500 ლირის გადადების შესახებ, რადგან ასეთი დადგენილება ქალაქის თვითმართველობის უფლებას აღემატებაო.

✦ განჯის ყოფილ პოლიცმეისტრის შეპყრობა. „რეჩის“ სიტყვით, პეტერბურგში შეუპყრიათ განჯის ყოფილი პოლიცმეისტერი ჩოგლოკოვი და განჯის ბოქაულის თანაშემწე სტეპანოვი. ესენი სხვა და სხვა ბოროტმოქმედებისთვის სამართალში იყვნენ მიცემულნი და ეს რამდენიმე ხანია იმალებოდნენ.

✦ საჭმელების ფალსიფიკაცია. ტფილისში აღმოაჩინეს საჭმელების ფალსიფიკაცია. ქიმიურ ლაბორატორიის გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ კარაქი, რომელიც ეხლა ტფილისის ბაზარზე იყიდება, კოკოსისა და კანაფის ზეთის ნარევს წარმოადგენს, ერბოს კი მეტ წილად დუმას ურევენ თურმე. ამას გარდა, ლაბორატორიამ აღმოაჩინა, რომ ლამაზ ჭრელ ვაშლებს ვაჭრები ხელოვნურად ჰღებავენ.

✦ მეარტელეზე თავდასხმა. ბაქოში ტაგიევის მეარტელეს თავს დასცემია რამდენიმე ბოროტგამზრახველი. თავდამსხმელებს 7,500 მანეთი წაუღიათ.

✦ წარმომადგენელი საკრებულოში. ტფ. საბჭოს ხმოსნებს 18 იანვარს საღამოთი კერძო თათბირი ჰქონდათ ქალაქის საქმეთა საკრებულოში საბჭოს წარმომადგენელის კანდიდატის დასასახელებლად. საბჭომ ნაცვლად ტ. ენფიანჯიანცისა, კანდიდატად დაასახელა თავ. გიორგი თუმანოვი.

✦ ნამესტნიკის თანაშემწის წასვლა. კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწე სენატორი მიცკევიჩი დღეს პეტერბურგში მიემგზავრება.

✦ მოძრავი კურსები. კავკასიის

საა. იმას უთხარით და ის აგიხსნით, როგორც რიგი და წესია“. ის მართლაც ჭკუიანი კაცი იყო. ერთი სიტყვაც კი არ გამოჰპარვია ნალაპარაკევიდან, ისე ბეჯითად უგდებდა ყურს კამათს. ყველამ სთხოვა რომ აეხსნა ეს ფრიად საინტერესო მოვლენა. „თქვენ ყველანი ერთმანეთს ატყუებთ და, მაშასადამე თვითონაც სტყუვდებით“, დაიწყო მეორე მეზღვაურმა. „მზე კი არ დადის დედამიწის გარშემო, მიწა დადის მზის გარშემო და თან ბრუნავს, რის მეოხებითაც ის ოცდაოთხი საათის განმავლობაში შეაბრუნებს ხოლმე მზისაკენ იაპონიას, ფილიპინის კუნძულებს, სუმატრას, რომელზედაც ჩვენ ვიმყოფებით ეხლა, აფრიკას, აზიას, ევროპას და აგრეთვე მრავალ სხვა ქვეყანას. მზე ანათებს არა მარტო ერთი მთისათვის, არა მარტო ერთი კუნძულისათვის, არა მარტო ერთი ზღვისათვის ანუ ერთი რომელიმე ქვეყნისათვის, არამედ მრავალ იმისთანა პლანეტისათვის, როგორიც ის პლანეტაა, რომელზედაც ჩვენ ვცხოვრობთ. ამას ნათლად დაინახავს ყველა თქვენგანი, თუ მიაჩერდებოდა ცას და არა თავის საკუთარ ფეხებს; ფიქრადაც არ მოუვა ის, რომ მზე ანათებს მხოლოდ მისთვის ანუ მისი სამშობლოისათვის“. ასე სთქვა ბრძენმა ინგლისელმა, რომელიც უფრო მეტს შეჰყურებდა ცას, ვიდრე თავის საკუთარ ფეხებს.

უკმაყოფილება ადამიანების სარწმუნოების საქმეში, არის შედეგი მათის თავმოყვარეობისა,— განაგრძო კონფუციის მიმდევარმა ჩინელმა:— რაც გითხარით მზის შესახებ, ისევე უნდა გითხრათ სარწმუნოების შესახებაც. ყოველ კაცსა და ყოველ ხალხს სურს ჰყავდეს თავისი საკუთარი ღმერთი. ყოველ ხალხს, სურს მოათავსოს თავის ტაძარში ის, რის გარემოცვაც არ შეუძლიან მთელ ქვეყანას. განა შეიძლება რომელიმე ტაძარი შეედაროს იმ ტაძარს, რომელიც თვით უფალმა აღმართა იმისთვის, რომ მასში შეაერთოს ყველა სარწმუნოების ადამიანები? ყველა მიწიერი ტაძარი აღმართულია იმ ტაძრის მსგავსად; ყველა ტაძარი შემკულია ემბაზით, ლამპრებით, სჯულის კანონთა კრებულით, წარწერებით და ქურუმებით. მაგრამ რომელ ტაძარშია ისეთი ემბაზი, როგორიც ოკეანეა; ისე ლამაზად გადმოყვანილი თაღი, როგორიც ლაჟვარდოვანი ცის თაღია; ისეთი ლამპრები, როგორიც არის მზე, მთვარე და ვარსკვლავები; ისეთი ხატები, როგორიც არიან ადამიანები? სადაა წარწერა იმდენად გასაგებარი, რამდენადაც ის კეთილი მოქმედებაა, რომელიც ყოველ მიერეზეა დათესილი ღვთისაგან ადამიანების სასარგებლოდ? სად არის კანონთა კრებული იმდენად ნათელი ყველასათვის, რამდენადაც მისი სპეტაკი გულია? სადაა მსხვერპლი, მსგავსი ი! თავგანწირულ მსხვერპლთა, რომელიც სათნო ადამიანებს მიაქვთ სამსხვერპლოზე მოყვასთა საკეთილდღეოდ? სადაა სამსხვერპლო, მსგავსი პატიოსან ადამიანის გულისა, რომელზედაც უნდა შეიწიროს მსხვერპლი სისპეტაკისა? რამდენადაც მტკიცედ იწამებს კაცი ღმერთს, იმდენად ჭეშმარიტად სცნობს მას. რამდენადაც მტკიცედ იწამებს იგი მას, იმდენად გახდება იგი კეთილ საქმეთა წყაროდ. ამისათვის, ყველა ის, ვინც სავსებით ჰხედავს მთელ სინათლეს, რომელიც ასე მშვენივრად ამკობს მსოფლიოს, ნუ შეურაცხყოფს და ნუ მოიხსენიებს ზიზღით იმ ცრუმორწმუნეს, რომელიც თავის კერპში ჰხედავს ერთ სხივს სინათლისას; ნუ მოიხსენიებს აგრეთვე ზიზღით იმ ჭეშმარიტებას ამცდარს, რომელიც სრულიად დაბრმავდა და ვეღარ ჰხედავს სინათლეს.

ასე სთქვა, კონფუციის მიმდევარმა ჩინელმა. ამის შემდეგ ყველანი ჩაჩუმდნენ და კრინტი აღარავის დაუძრავს იმაზე, თუ ვისი სარწმუნოებაა უკეთესი.

ვ. ნიკოშვილი.

✦ ტფ. გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით, დაიკეტა სამხედრო წესების მოხსნამდე დუქანი თავ. ნიკაბაძისა ვოგზლის ქუჩაზე.

სპარსეთის ამბები

რევოლიუციის გაძლიერება.

„ბაქოს“ ატყობინებენ თეირანიდან: რევოლიუცია მთელ სამხრეთ სპარსეთს მოეფო. შაჰის ჯარი ვერას გამხდარა თავრიზელ რევოლიუციონერებთან. მოელიან, რომ 20 იანვარს მთელს სპარსეთში მოხდება აჯანყებაო.

„რუსკ. სლოვო“-ს ატყობინებენ კაზვინიდან: რევოლიუციონური მოძრაობა იზრდება. კაზვინში დაარსეს ენჯუმენი.

თეირანში.

იანვრის პირველ კვირა-დღეს (ახ. სტილით) თეირანში ჩვეულებისამებრ იდღესასწაულეს „მსხვერპლის უქმე“, რომელიც დაწესებულია მოსაგონებლად აბრამის მიერ ისაკის მსხვერპლად შეწირვისა. ამ დღეს მორთულს აქლემს ატარებენ ქუჩა-ქუჩა მთელს ქალაქში და ბოლოს ჰკლავენ ერთ-ერთ მოედანზე. აქლემის გულს მიართმევენ ხოლმე შაჰსა, ხოლო ხორცს უნაწილებენ ხალხსა; წინად ამ სამღვთო აქლემს მუდამ ჰკლავდნენ ხოლმე იმ მოედანზე, სადაც მეჯლისის შენობა იდგა. წელს-კი შაჰმა ბრძანება გასცა, რომ სამღვთო აქლემი სადაც გინდათ დაკალით, ოღონდ მეჯლისის მოედანზე-კი ნუო შაჰმა ჩვეულებისამებრ სასახლეში დიდი პარადი გადაიხადა, რომელზედაც უცხოელთაგან კიდევ ჩვეულებისამებრ მიიღებენ ხოლმე მარტო მუსულმანებს, რადგან ამ დღესასწაულს წმიდა სარწმუნოებრივი მნიშვნელობა აქვს. წელსაც პარადს უცხოელ დიპლომატთაგან დაესწრო მხოლოდ ოსმალეთის ელჩი. შაჰი თურმე თავით ფეხამდე მორთული იყო ბრილიანტებით და მეტად მხნე და მხიარული სახე ჰქონდა. მაჰედ ალი-შაჰს ეკითხა ოსმალეთის ელჩისათვის: როგორა ბძანდება სულთანი და საზოგადოთ როგორა გრძნობს თავის თავს ამ ჟამადო. ელჩს ეპასუხნა:

„სულთანი ბედნიერი და კმაყოფილა, იმასთან ერთად მთელი ოსმალეთის ხალხიც. თქვენი უდიდებულესობის ხალხიც კმაყოფილი იქნება—ოღონდ თქვენ მოინდომოთ.“

შაჰი თურმე შეწუხდა და უცებ დაუწყო ლაპარაკი მდივნებს. მოხუცებულმა დიდმა ვეზირმა მტკიცება დაუწყო ოსმალეთის ელჩს, რომ კონსტიტუცია არ შეეფერება ჩვენს წმიდა სარწმუნოებასაო... ყველაზე გულახდით ილაპარაკა ემირმა ბაგადურ-ჯენკმა. მან უსაყვედურა ოსმალეთის ელჩს: „თქვენ მოლალატეებს მფარველობთ, დახმარებას უწევთ მეამბოხეთ (ბევრი გამოჩენილი თეირანელი კონსტიტუციონალისტი თავშეფარებულია ამ ჟამად ოსმალეთის საელჩოში, ანუ როგორც სპარსელები იტყვიან „ბესტში“ სხედან იქა). რატომ არ გამორეკავთ? ისინი მთელს თქვენს საელჩოს თავდაყირა დააყენებენ და რევოლიუციის ბუდეთ გადააქცევენ!“ ელჩმა უპასუხა:

„თქვენი აღმატებულება ოსმალეთის საიმპერატორო საელჩოზე ლაპარაკობს? ჩვენი საელჩო არას დროს არ გადიქცევა უწესოების ბუდეთ!“

ემირ-ჯენგი მიჰხვდა, რომ წრეს გადავიდა და უცებ დაიყვირა: „ჩქარა ჩაიო!“

იმავ დღეს, „ფრანკფ. ცაიტუნგ“-ის კორესპონდენტს უსაუბრნია კონსტიტუციონალისტების ერთ-ერთ მეთაურთან, რომელიც ზის „ბესტში“ ოსმალეთის საელჩოში. სპარსელ კონსტიტუციონალისტს უამბნია, რომ შაჰმა მოლაპარაკება გაძართა ჩვენთან კონსტიტუციის აღდგენაზეო. შაჰი სთანხმდება კონსტიტუციის აღდგენას, მხოლოდ თხოულობს, რომ იქიდან ამოიშალოს მუხლები სარწმუნოებისა, ბეკვდისა და კავშირების თავისუფლების

იცვალა მარიამ ნიკაბაძისა, 17 წლისა. მიზეზი გადაცვალებისა ექიმებმა ვერ გამოარკვიეს.

✦ ტფ. გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით, დაიკეტა სამხედრო წესების მოხსნამდე დუქანი თავ. ნიკაბაძისა ვოგზლის ქუჩაზე.

სპარსეთის ამბები

რევოლიუციის გაძლიერება.

„ბაქოს“ ატყობინებენ თეირანიდან: რევოლიუცია მთელ სამხრეთ სპარსეთს მოეფო. შაჰის ჯარი ვერას გამხდარა თავრიზელ რევოლიუციონერებთან. მოელიან, რომ 20 იანვარს მთელს სპარსეთში მოხდება აჯანყებაო.

„რუსკ. სლოვო“-ს ატყობინებენ კაზვინიდან: რევოლიუციონური მოძრაობა იზრდება. კაზვინში დაარსეს ენჯუმენი.

თეირანში.

იანვრის პირველ კვირა-დღეს (ახ. სტილით) თეირანში ჩვეულებისამებრ იდღესასწაულეს „მსხვერპლის უქმე“, რომელიც დაწესებულია მოსაგონებლად აბრამის მიერ ისაკის მსხვერპლად შეწირვისა. ამ დღეს მორთულს აქლემს ატარებენ ქუჩა-ქუჩა მთელს ქალაქში და ბოლოს ჰკლავენ ერთ-ერთ მოედანზე. აქლემის გულს მიართმევენ ხოლმე შაჰსა, ხოლო ხორცს უნაწილებენ ხალხსა; წინად ამ სამღვთო აქლემს მუდამ ჰკლავდნენ ხოლმე იმ მოედანზე, სადაც მეჯლისის შენობა იდგა. წელს-კი შაჰმა ბრძანება გასცა, რომ სამღვთო აქლემი სადაც გინდათ დაკალით, ოღონდ მეჯლისის მოედანზე-კი ნუო შაჰმა ჩვეულებისამებრ სასახლეში დიდი პარადი გადაიხადა, რომელზედაც უცხოელთაგან კიდევ ჩვეულებისამებრ მიიღებენ ხოლმე მარტო მუსულმანებს, რადგან ამ დღესასწაულს წმიდა სარწმუნოებრივი მნიშვნელობა აქვს. წელსაც პარადს უცხოელ დიპლომატთაგან დაესწრო მხოლოდ ოსმალეთის ელჩი. შაჰი თურმე თავით ფეხამდე მორთული იყო ბრილიანტებით და მეტად მხნე და მხიარული სახე ჰქონდა. მაჰედ ალი-შაჰს ეკითხა ოსმალეთის ელჩისათვის: როგორა ბძანდება სულთანი და საზოგადოთ როგორა გრძნობს თავის თავს ამ ჟამადო. ელჩს ეპასუხნა:

„სულთანი ბედნიერი და კმაყოფილა, იმასთან ერთად მთელი ოსმალეთის ხალხიც. თქვენი უდიდებულესობის ხალხიც კმაყოფილი იქნება—ოღონდ თქვენ მოინდომოთ.“

შაჰი თურმე შეწუხდა და უცებ დაუწყო ლაპარაკი მდივნებს. მოხუცებულმა დიდმა ვეზირმა მტკიცება დაუწყო ოსმალეთის ელჩს, რომ კონსტიტუცია არ შეეფერება ჩვენს წმიდა სარწმუნოებასაო... ყველაზე გულახდით ილაპარაკა ემირმა ბაგადურ-ჯენკმა. მან უსაყვედურა ოსმალეთის ელჩს: „თქვენ მოლალატეებს მფარველობთ, დახმარებას უწევთ მეამბოხეთ (ბევრი გამოჩენილი თეირანელი კონსტიტუციონალისტი თავშეფარებულია ამ ჟამად ოსმალეთის საელჩოში, ანუ როგორც სპარსელები იტყვიან „ბესტში“ სხედან იქა). რატომ არ გამორეკავთ? ისინი მთელს თქვენს საელჩოს თავდაყირა დააყენებენ და რევოლიუციის ბუდეთ გადააქცევენ!“ ელჩმა უპასუხა:

„თქვენი აღმატებულება ოსმალეთის საიმპერატორო საელჩოზე ლაპარაკობს? ჩვენი საელჩო არას დროს არ გადიქცევა უწესოების ბუდეთ!“

ემირ-ჯენგი მიჰხვდა, რომ წრეს გადავიდა და უცებ დაიყვირა: „ჩქარა ჩაიო!“

იმავ დღეს, „ფრანკფ. ცაიტუნგ“-ის კორესპონდენტს უსაუბრნია კონსტიტუციონალისტების ერთ-ერთ მეთაურთან, რომელიც ზის „ბესტში“ ოსმალეთის საელჩოში. სპარსელ კონსტიტუციონალისტს უამბნია, რომ შაჰმა მოლაპარაკება გაძართა ჩვენთან კონსტიტუციის აღდგენაზეო. შაჰი სთანხმდება კონსტიტუციის აღდგენას, მხოლოდ თხოულობს, რომ იქიდან ამოიშალოს მუხლები სარწმუნოებისა, ბეკვდისა და კავშირების თავისუფლების

შესახებ, ენჯუმენები აიკრძალოს და ჩაემატოს [illegible] ტის სხ[illegible] ლად [illegible] ბის [illegible] ინიშნებოდეს და სამხედრო სამინისტროსთან პარლამენტს არავითარი კავშირი არა ჰქონდესო.

რუსეთის და ინგლისის მთავრობათ, რომელნიც ცდილობენ ამ ჟამად, რომ შაჰს როგორმე კონსტიტუცია აღადგინონ, ცხადია, ჯერ კიდევ დიდი ბრძოლა დასჭირდება შაჰთან, რადგან ინგლისში მაინც არავინ დაარქმევს კონსტიტუციას იმას, რასაც შაჰი აძლევს თავის ხალხს. („რ. ვ.“)

ბალკანეთი

ინგლისის მეფის ნათქვამი.

ოსმალეთის ელჩმა ლონდონიდან დეპეშით შეატყობინა გარეშე საქმეთა სამინისტროს, რომ ინგლისის მეფემ ედუარდმა თქვა: „თუ ოსმალეთ-ბოლგარიის ომმა იფეთქა, მაშინ მთელი ბალკანეთიც აირევდაირევა და იქნება საერთაშორისო ომიც მოხდესო“.

რუსეთი, გერმანია და ავსტრია.

ბერლინში განსაკუთრებულის მისიაზე მივიდა პეტერბურგიდან ავსტრიის ელჩი ბერტჰოლდი. ბიულოვთან თათბირის შემდეგ იგი დაბრუნდება პეტერბურგს იზვოლსკისთან სათათბიროდ, ხოლო პეტერბურგიდან წავა ვენას. ამ თათბირს დიდს პოლიტიკურს მნიშვნელობას აძლევენ. დიპლომატთა წრეებში ამბობენ, რომ ავსტრიამ მოლაპარაკება გამართა რუსეთთან და გერმანიასთან მეგობრულ კავშირის დაარსების შესახებო. ხმა დადის, რომ ავსტრო-ჰუნგრეთის გარეშე საქმეთა მინისტრად ერენტალის ნაცვლად. დაინიშნება ბერტჰოლდიო.

შეტაკება ავსტრიელებს და სერბებს შორის.

ქალ. დობაშაში, ბოსნიაში, ავსტრიელებს შეტაკება მოუვიდათ სერბებთან. ორსავ მხარეს ბევრია დაჭრილი.

ინჟენერი აზევი და ს.-რევ. პარტია

—:—

რუსულ გაზეთებში დაბეჭდილია გასაოცარი ცნობები რუსეთის სოციალ-რევოლიუციონერთა პარტიის ცენტრალურ კომიტეტის წევრად ნამყოფ ინჟენერ ე. ფ. აზევზე; პარტიას შეუტყვია, რომ ეს აზევი ყოფილა ნამდვილი პროვოკატორი. გაზ. „სლოვო“-ს შემდეგი ცნობები მოჰყავს უცხოეთის გაზეთებიდან: პარიზში ამ დღეებში ს.-რევოლიუციონერთა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოახდინა სხდომა და გაასამართლა პარტიის ერთ-ერთი მეთაური ევგენი აზევი. გასამართლების წინად პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელიც პარტიაში იმყოფება, დაიბარა ე. ფ. აზევი, რომელსაც პროვოკაცია ჰბრალდებოდა. აზევი არ მივიდა. 8 იანვარს (ახ. სტილით). ცენტრალური კომიტეტი კიდევ შეიკრიფა, მოისმინა ბრალდება აზევის შესახებ და გაამტყუნა იგი. არა ერთხელ არჩეულა ცენტრალურ კომიტეტის წევრად და მებრძოლ ორგანიზაციის მოღვაწეთ, ცნობილი იყო პარტიაში „ლევრო“-ს, „ივან ნიკოლაევიჩ“-ის, „ვალენტინ კუზმიჩ“-ის, „ტისტიაკ“-ის და სხვა მეტსახელებით. ჰქონია საქმე რუსეთის პოლიტიკურ საქმეთა მაძებარ პოლიციასთან. აზევი გაიპარა პარიზიდან პარტიის სასამართლოს განაჩენის გამოცხადებამდე. მოკლე ხანში პარტია გამოაქვეყნებს დაწვრილებით ცნობებს აზევის პროვოკატორულ მოქმედების შესახებ.

რუს. გაზ. „ნაშა გაზეტა“ სწერს: „უცხოეთის გაზეთებიდან სჩანს, რომ აზევი ყოფილა სოციალ-რევოლიუციონურ პარტიის მებრძოლ ორგანიზაციის უმთავრეს მეთაურთაგანი. აზევს დიდი ძალა და გავლენა ჰქონდა პარტიაში და დიდი ნაკლებობა ჰყავდა პარიზში. მის მბრალდებელნი ირწმუნებოდნენ კომიტეტის სხდომის დროს, რომ აზევს 1900 წლიდან წელიწადში 14 ათასი მანეთი

ეძლეოდა ჯამაგირად რუსეთის პოლიციისგანო. პირველად ექვი აზევზე აიღეს 1906 წელს. რუსეთში მომხდარი ტეროორისტული აქტები ყველა აზევის მოწყობილი იყო, გარდა ორისა. სტოლიპინის და თავად ობოლენსკის მოკვლის განზრახვაში იგი არა რეულა. აზევს დიდი მონაწილეობა მიუღია შინაგან საქმეთა მინისტრის პლევეს, დიდი მთავრის სერგი ალექსანდრეს ძის და უფის გუბერნატორის ბოგდანოვიჩის . მოკვლის მოწყობაში. პარტიის ცენტრალურ კომიტეტში იგი მიუღიათ გერშუნის რეკომენდაციით, ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ აზევსვე გაუცია გერშუნი. ინჟენერი აზევი იყო ტეროორისტების მეთაური და ჯერ კიდევ 1906 წელს ვარშავის პოლიციის აგენტს ბაკაის ეთქვა ტეროორისტების ჯგუფის წევრისთვის— პურცევისთვის, რომ აზევი პოლიციაში მსახურებსო. გაზეთები ირწმუნებიან, რომ რუსეთის პოლიციამ წინადვე კარგად იცოდა ყველა იმ ტეროორისტულ აქტის ამბავი, რომელსაც აზევი მოაწყობდა ხოლმე, მაგრამ ნებას აძლევდა მათის შესრულებისას მხოლოდ იმ პირობით, რომ აზევს ხელი არ ეხლო სამეფო გვარეულობის წევრთათვის და მინისტრებისთვის პეტერბურგში. რაც შეეხება მოსკოვს, პოლიციას ნება მიეცა მისთვის „იქაობა სულ მიწასთან გაასწორეო“ (?!),--ასე ეამბნა ზემოხსენებულ პოლიციელს ბაკაის რევოლიუციონერ ბურცევისათვის. მოსკოვის მაძებარ პოლიციას აზევმა თურმე წინადვე შეატყობინა, რომ დიდი მთავრის სერგი ალექსანდრეს ძის მოკვლას აპირებდნენ. პოლიციამ ისიც კი იცოდა თურმე, რომ ყუმბარა კალიაევს უნდა ესროლა, იცოდა დანარჩენ მონაწილეთა გვარებიც, მაგრამ პოლიციამ ვერ ისარგებლა ამ ცნობებით და ვერ მოახერხა ტეროორისტების დაჭერა.

ფრანგული გაზ. „ჰუმანიტე“ შემდეგსა სწერს აზევის შესახებ: „აზევი პოლიციაში მსახურებდა რიასკინის სახელით. პირველად ექვი აზევზე მიიტანა რევოლიუციონერმა ბურცევმა, მაგრამ ამხანაგებმა არ დაუჯერეს, პირიქით დაემუქრნენ ბურცევს, მოგკლავთ, თუ შენ ბრალდებას უკან არ წაიღებო. მაგრამ ბოლოს დროს რუსეთის პოლიციამ, რომელსაც აზევი ისევე ატყუებდა, როგორც თავის ამხანაგებს, შეატყობინა სოც.-რევოლიუციონერთა ცენტრალურ კომიტეტს პარიზში, რომ აზევი—ჯაშუში - პროვოკატორიაო. აზევმა გაიგო ეს ამბავი და საჩქაროდ წავიდა პარიზიდან მიუნხენში ვითომ ჯანმთელობის გასამაგრებლად. მისმა ამხანაგმა რევოლიუციონერებმა, რომლებსაც უკვე ექვი შეეპარათ აზევზე, მოინდომეს გაგება, თუ რას გააკეთებდა და როგორ მოიქცეოდა იგი მიუნხენში; მაშინ გამოირკვა, რომ აზევი წასულიყო პეტერბურგს და არა მიუნხენში—სათხოვნელად, რომ პოლიციის დეპარტამენტს შეებრალებინა იგი და ამხანაგების პირში არ ჩაეგდო. მართლაც და მას გამოესარჩლა შინაგან საქმეთა მინისტრის თანაშემწე გერასიმოვი. რევოლიუციონერები დარწმუნებულნი არიან, რომ ამ ჟამადაც აზევი იმალება რუსეთის საელჩოში პარიზში იმავ გერასიმოვის შემწეობითაო.

რაც შეეხება აზევის მონაწილეობას პლევეს მკვლელობაში, „ჰუმანიტე“ სწერს: პლევეს ძლიერ უყვარდა სპირიტი ფილიპე, მარსელელი ფრანგი, რომელმაც დიდი გავლენა მოიპოვა პეტერბურგში. რუსეთის საზღვარ-გარეთელ მაძებარ პოლიციის უფროსმა რაჩკოვსკიმ შეიტყო რომ ეს სპირიტი საიმედო კაცი არ არისო, და ეს ამბავი აცნობა პლევეს. მინისტრმა იწყინა ესა და გაჯავრებულმა სამსახურიდან დაითხოვა რაჩკოვსკი, რომელიც დაემუქრა პლევეს, მაგას არ შეგარჩენ, გადაგიხდიო; მართლაც და რაჩკოვსკი მოელაპარაკა აზევს, რომელთანაც მუდამ ჰქონდა კავშირი, ორივემ ერთად მოაწყეს შეთქმულობა, საზოგოვის მიერ შესრულებული და პლევე მოჰკლეს.

გაზეთები ირწმუნებიან, რომ ამას იქით უფრო გასაოცარი ამბები იქნება გამოცხადებული აზევის მოქმედების შესახებო.

„სლოვო“ იუწყება, რომ ამ საქმეზე შეკითხვა იქნება შეტანილი რუსეთის სახელმწიფო სათათბიროშიო.

ამ ამბების დაბეჭდვისთვის სატ ხტო ქალაქის გაზეთები დაჯარიმებულ იმქნენ: „სლოვ“—1000 მან., „ნაშა გაზეტა“—500 მ., „რეჩი—300 მან., „ს. პეტ. ცაიტუნგი“—300 მ., „ვეჩერი“—300 მ. „სოვრემენნოე სლოვო“— 300 მ., როგორც ბაქოს გაზეთები იუწყებიან, ადმინისტრაციას შემდეგ მოუხსნია გაზეთებისთვის ეს ჯარიმა.

ოფიციალურად უარყოფენ ცნობას, ვითომ დიდის მთავრის სერგი ალექსანდრის ძის, სიპიაგინის, პლევეს და სხვების მოკვლაში მონაწილეობას იღებდნენ მცველ პოლიციის მოსამსახურენიო. („რ.“)

თეატრი და ხელოვნება

ქართული წარმოდგენა ახალ თეატრში. კვირას დილით ახალ თეატრში დრამატიულ საზოგადოების დასმა წარმოადგინა გოგოლის კომედია „რევიზორი“. ამ წარმოდგენას მაინცა და მაინც არ ეტყობოდა არც რეჟისორის ხელი და არც არტისტების მეცადინეობა. პიესამ ჩვეულებრივ ჩაიარა, ისე როგორც არა ერთხელ ჩაუტარებიათ ეს პიესა ქართულ სცენაზე. ჩვენ კი გვეგონა, ამ პიესაზე წელს მეტ უნარს გამოიჩენდნენ. თავი იჩინა ჩვეულებრივმა ნაკლმაც—როლების მტკიცედ არ ცოდნამ. მთავარ როლებს ასრულებდნენ ბ-ნნი აბაშიძე, შათირიშვილი, კ. მესხი და ქ-ნი ჩერქეზიშვილისა.

ქუთაისი. ჩვენ, ქართველებს, ძლიერ გვიძძიმს საერთო ძალღონით საქმის წინ გაძღოლა. სამაგიეროდ, ძალების დაჭარქვა—დაქუდმაგებამი ბადალი არა გვყავს. მაგალითისთვის ავიღოთ ქუთაისში არსებული ორი ამხანაგობა, რომელიც ცალ-ცალკე მართავს ქართულ წარმოდგენებს. პირველია ქართულ დრამატიულ დასის ამხანაგობა, მეორე ახლად შემდგარი ჯგუფი ბ-ნ ბალანჩივაძის მეთაურობით. ორივეს თვალწინოვე მტყობა სისუსტ-ნაკლულოვანება, რომელიც ავილებული იქნებოდა, რომ შეერთებულიყვნენ, მაგრამ, აკი ძეგანსენებთ, გვიძძიმს შეერთება მთლიანობა.

ქართულ დასს თანდათან ჩამოცილდნენ ბ-ნი ნემო, თუთბერიძე და ძათ ამ ბოლო დროს ბ-ნი ბალანჩივაძეც მიემატა. ეს ფაქტი ყველას საწყენად დარჩა, რადგან ჩამოძღერებულ პასიოებში ხაზოგადოება სასურველ ძალებსა ჭნდავდა. ნაწყვრად დარჩენილი დასი მაინც არ დაეცა სულით და სცენის მოყვარეთა დახმარებით ასე თუ ისე ეწევა წლეკანდელ სეზონის ძმიმ ჯაბანს. დასის გარედ შეიდგა მსახიობეობა შეადგინეს ახალი ჯგუფი. ეს გარემოება თავისთავად არ არის საწყენი. მაგრამ სავალალოა, რომ ეხარგებლო ქიშპობა იმართება, რასაც ზარალი მოსდევს. საზოგადოება უკმაყოფილია ასეთის ქიშპობით. ასეთი ბრძოლა ავნებს ორივე ძმარს და ვერც იმ ხელოვნებას გაეწევა ღირსეულ სამსახურს, რომელსაც ემსახურებიან. საქმის ინტერესი მოითხოვს, რომ შეერთდნენ, ხოლო თუ შეერთება შეუძლებელია, იმგვარ სამუალებებს ძაინც ნუ მიმართავენ, რის მოწმეც ჩვენ ვიყავით უკანასკნელ წარმოდგენების დროს.

17 იანვარს ბ-ნმა ბალანჩივაძემ გამართა მეორე წარმოდგენა. ამ საღამოს ითამაშეს შელოდრამა „ორი ობოლი“. პიესამ საერთოდ ხუსტად ჩაიარა. ვამბობ საერთოდ, რადგან პიესაში ხუსტი აღგილები ხეარბობდნენ სრულ სცენებს. მართალია, ორიოდე როლი საუცხოოდ სრულდებოდა, მაგრამ საკმაო იყო სცენას გამოცდილი მსახიობი ძალგილებოდა, რომ დანარჩენნი ერთ ადგილას გაყინულიყვნენ. კარგი, უნაკლოდ იყო მსოფლიდ უკანასკნელი სურათი. ეს იმიტომ რომ ამ სურათში ყველა გამოცდილი მსახიობი იყო სცენაზე.

ფრიდმარის როლს ასრულებდა ქ-ნი გაიუნია-ბაგარლისა. ვის არ უნახავს იგი ამ როლში? მსახიობი ჩვეულებრივად კარგი იყო. ბრძოლუნის როლს ასრულებდა ქ-სი ტ. აბაშიძე. სახოგადოებას იგი ძალიან ძალუნდა. კარგი პიერი იყო ბ-ნი ბალანჩივაძე. ნაკლებად დაგეკმაყოფილა ბ-მა თუთბერიძემ. მას შეეძლო ქაკის როლი უკეთ შეესრულებინა, მაგრამ იმის თამაშს საკმაო გულგრილობა ეტყობოდა. როლიც სუსტად იცოდა. ქ-ნ ივანიძისას არ შეჰფერის ანალგაზდა ჭენრიეტას როლი. ეს მსახიობი თუმცა სინიდისიერად ... ილოდა მესაფერისად აესრულებინა ... ძალად ნაკლისი მოვალეობა, მაგ-

ლიკალნო (вниз). „წყაროს“ ავტორი ამბობს: „რადგანაც „განათლების“ რედაქციას რუსული უფრო ხერხება, რუსულად მოვახსენებთ! რუსულად ამბობენ „прямой линиѣ“, „косой линиѣ“ და ქართულად ასე იქნება: „სწორი წერა“, „დაქანებული წერაო“. იქნება მართლაც ჩვენ რუსული უფრო გვეხერხება და ბ-ნს არისტოს ქართული, ან ორივე, მაგრამ ვერც ამ თარგმანში დავეთანხმებით. როცა ვამბობთ „სწორედ წერეო“, ნუ თუ სახეშ, უნდა გვქონდეს მარტო ასოების ზევიდან ქვევით პირდაპირ ჩამოყვანა? განა მწოლარე ხაზი არ შეიძლება სწორი იყოს? სწორე წერა იმდენად პირდაპირ შვეულ ხელს არ ნიშნავს წერაში, რამდენადაც მართლ წერას, ან ორივეს, ხოლო როცა ვამბობთ პირდაპირ ან შვეულად სწერეო ეს უკვე ასოების რვეულთან დამოკიდებულებას გვიჩვენებს და ცნებასაც ცხადად ჰხატავს და ორ აზროვანებასაც, გაუგებრობასაც მოკლებულია. „косое письмо“ „დაქანებული წერააო“, გვამცნევს ბ-ნ არისტო და განა ეს სწორია? სიტყვა **დაქანება** ნიშნავს როცა ზევიდან ქვევით დაეშვება რამე საგანი, მაგრამ მიმართულებას სრულიად არ აღნიშნავს, რადგან დაქანება, ძირს დაშვება, შეიძლება პირდაპირაც და ირიბულადაც, მრუდედ, ალმაცერად. ამბობენ, არწივი ისარივით დაექანაო, ე. ი. სწორედ, პირდაპირ წამოვიდაო. **დაქანებული** ნიშნავს რუსულად покатый ჩუბინაშვილსაც ასე აქვს ახსნილი. Покатый და косой ყოველთვის ერთის აზრით არ იხმარება. როცა გვინდა ქართულად ვთარგმნით косое письмо, ამ ცნების უფრო შესაფერისი გამომხატველი იქნება ირიბი ან დახრილი ხელი, წერა; ჩუბინაშვილსაც ასე აქვს ნახმარი **ირიბად** —косо და ჩვენს მწერლობაშიაც ასე ხმარობენ, მაგრამ ბ-ნ არისტ. ქუთათელაძეს არ მოსწონს. ერთი და იგივე სიტყვა ხშირად სხვა და სხვა ცნების გამომხატველია. მწერალი და პედაგოგი ყოველთვის იმას უნდა სცდილობდეს, რომ მის მიერ წარმოთქმული ან დაწერილი სიტყვა სავსებით და ცხადად ჰხატავდეს ამა თუ იმ ცნებას, რომ მკითხველის გონებაში ბუნდოვანობას და ორეოფობას ადგილი არა ჰქონდეს.

ეს სიტყვები „სწორი“ და „დაქანებული“ იმიტომ სთარგმნა ასე უხეიროდ „წყაროს“ ავტორმა, რომ განემარტა „განათლების“ რედაქციისათვის, „დედამიწის ღერძი **დაქანებულია** დედამიწის ორბიტეზე“, მაგრამ ვერც ეს **დაქანებაა** სრული გამოხატველი იმ ცნებისა, რომელსაც რუსულად აღნიშნავენ სიტყვით наклонена, რომლის თარგმანი ჩუბინაშვილს **დახრილად** აქვს მოყვანილი ლექსიკონში. ბ-ნი არისტ. ქუთათელაძე მართალია, როცა „ვერტიკალობის“ აღსანიშნავად ქართულ სიტყვას „შვეულს“ ხმარობს, მაგრამ ისიც შეიძლება, რომ „დროების“ რედაქცია „დაქანებულობაშიაც“ არ ეთანხმებოდეს მას და შენიშვნას კი არ უკეთებს, რადგან წერილის პასუხის-მგებელი უფრო ავტორია და არა რედაქცია, რომელიც ნებას აძლევს ავტორს თავისუფლად გამოსთქვას თავისი აზრი საკამათო საგნის შესახებ.

ბ-ნი არისტო დარწმუნებულია, რომ მისი ქართული ჩვენთვის გაუგებარია და გეიკდან ამოწერილ წინადადებას — тѣ страны должны быть самыми теплыми, въ которыхъ солнечные лучи вертикальны или почти вертикальны, ასე გვითარგმნის ქართულად: „ის ქვეყნები თბილი—ამბობს გეიკი,—სადაც მზის სხივი ვერტიკალურია, ანუ თითქმის ვერტიკალურია“. დიაღაც ძნელი გასაგებია ისეთი წინადადება, რომელშიაც შემასმენელი ძნელი საპოვნელია. სიტყვები: должны быть самыми теплыми— გადაუთარგმნია ერთი სიტყვით—**თბილი** და რუსული რომ არ წაემძღვარა წინ, მართლაც ვერ გავიგებდით. „წყაროს“ რეცენზენტმა შენიშნა, რომ განმარტება სიცხე-სიცივის შესახებ ბუნდოვანია და ბავშვებისთვის გაუგებარიო. ბ-ნ არისტოს კი საპასუხოდ მოჰყავს გეიკის წიგნიდან რუსულ ქართულად ადგილები და ცდილობს დაგვიმტკიცოს, რომ ჰაერი უფრო ათბობს მიწას, ვიდრე მიწა ჰაერსაო. „ეს მიზეზი განლავს ჰაერის სისქე და არა „განათლების“ რედაქციისაგან რაღაც ნაამბობი გადია ჩემის ზღაპარიო ბ-ნ არისტოს ჩემზე უკეთ უნდა ახსოვდეს თავისი გადიას ზღაპრები, მაგრამ სჩანს ვერა ჰყოლია რიგიანი გადია, როცა იკლიკანტურად ცდილობს დაგვიმტკიცოს, რომ ჰაერი ათბობს მიწასაო. აი დედამიწის შესახებ რას ამბობს ცნობილი მეცნიერი პროფესორი ვაგნერი: „ჰაერი ცოტად თბება მზისგან, მზის სხივები გაივლის ჰაერში და თავისს სითბოს არა ჰკარგავს, პირდაპირ ეცემა დედა მიწას, ათბობს მას და უკვე გამთბარ დედამიწიდან თბება შემდეგ ჰაერი. მზისგან გაცხელებულ მიწას ალმური ასდის, როგორც გახურებულს ფეხს; სანამ ეს ვეებერთელა ფეხი თბება, ე. ი. სანამ მას ათბობს მზე, იგი თავის მხრით ჰაერსაც ათბობს, მაგრამ რაკი მზე ჩავა, დაღამდება, მიწაც თანდათან ცივდება და ჰაერშიაც ხელახლად აცივდებაო“. „მაშინ რატომ მთაში არ ათბობს მიწა ჰაერს ისე, როგორც ბარშიო“ გვეკითხება „წყაროს“ ავტორი და მოჰყავს რუსულ-ქართულად დედამიწის ღერძისა და სქელი ჰაერის შესახებ რაც კი წაუკითხავს და გაუგორია გერდისაგან—და ბოლოს დასძენს: „რადგან ჰაერი სქელია, ამიტომ დედამიწიდან ისე ჩქარა არ აირეკლება. ამიტომაც სქელ ჰაერში მეტია სითბო. ამგვარადვე აქვს ბ-ნ ი. გოგებაშვილს „ბუნების კარში“ (გვ. 215 და 222) გამოც. მე-16, მაგრამ მისთვის „განათლებას“ არ უკიჟინებია: „რა ენა წახდეს, ერი დაეცეს“ („დროება“.№6).

„ბუნების კარში“ არსად აღნიშნულ გვერდებზე და არც სხვაგან ისეთი განმარტება არ მოიპოვება, რასაც ბ-ნი არისტო აწერს „ბუნების კარის“ ავტორს. ჩვენ გულ დაწმით გადავიკითხეთ აღნიშნული გვერდები „ბუნების კარში“ და ეროი სიტყვასაც კი ვერ წავაწყდით სქელი ჰაერის შესახებ.

ვისაც ცხადი წარმოდგენა აქვს საზოგადოდ ჰაერის მოძრაობის შესახებ, იგი ჰაერის სისქის მიუხედავადაც ადვილად გაიგებს, რატომ მთაში არ ათბობს მიწა ჰაერს ისე, როგორც ბარში? ამაზე ბ-ნ არისტოს ვუპასუხებთ ვაგნერის სიტყვებით: „მიწიდან გამთბარი ჰაერი მუდამ მაღლა მიდის. ამიტომაც მიწა, რადგან თავისს სითბოს ჰაერს გადასცემს, ჩქარა ცივდება, მზის ჩასვლის შემდეგ ორი-სამი საათი გავლის და მიწა უკვე ცივია. მთის მწვერვალები, რომელიც დედა მიწიდან მაღლაა აშვერილი, თითქმის ყოველი მხრიდან ჰაერით არის გარემოცული, ამიტომაც იქ უფრო სწრაფად და ძლიერ აცივდება ხოლმე, ვიდრე ბარში. ღამით, რაც უნდა ძლიერ ცხელოდეს დღისით, მთებში ისე აცივდება, რომ წყალი გაიყინება. თვითონ ჰაერი მთის მწვერვალების გარშემო დღისით ვერ ასწრობს გათბობას და ცივი რჩება“ (ვაგნერი გვ. 7). მართალია ჰაერის სიქე-სითხელეს უსათუოდ გავლენა აქვს სითბოს შეკრება-გადაცემაშიაც, მაგრამ ამ საკითხს სრულიად არ

შეჰხვეია „წყაროს“ რეცენზენტი და ვერც ბ-ნმა არისტომ [illegible]

[illegible]

[illegible]

რედაქტორ-გამომცემელი

ი. ს. აგლაძე.

განცხადებანი

ტფ. **თავად-აზნაურობის სახლთან**

სასახლის ქუჩა

იყიდება მასალა

დარჩენილი თეატრის შენობისაგან: რკინეულობა, თუჯი და ჩარჩოები ფანჯრებისა და კარებისა. ცნობების გაგება შეიძლება მამულების გამგის კანტორაში, იმავე სახლში. (3—36—1)

37 წლიწადი

პირველი კავკასიის

დეპო თესლეგისა

ლარშე

ტფილისში, მიხეილის პროსპექტი № 23.

ურჩევს ყველას საბოსტნე, საყვავილე და სხვა თესლებს უკანასკნელ ნათესისა.

(10—ხალ.—2)

მიიღება ხელის მოწერა 1909 წლისათვის

(მეცამეტე წელიწადი გამოცემისა).

ყოველ თვიური სალიტერატურო-პოლიტიკური ჟურნალი

„რუსსკაია მისლი“

(„РУССКАЯ МЫСЛЬ“)

ბ. ბ. სტრუვესა და ს. ს. კიზეველეტერის სარედაქტორობით.

ჟურნალში მონაწილეობას იღებენ: ვ. ი. ვერნადსკი, ი. ბ. ბრეგვი, ზ. ნ. გიპიუსი, ა. ხ. იზგოევი, ა. ა. კაუფმანი, ბ. ა. კისტიაკოვსკი, ს. ა. კოკოლიარევსკი, ს. ვ. ლურიე, ვ. ი. ნოვგოროდცევი, დ. ვ. ფილოსოფოვი, ს. ლ. ფრანკი და ლ. ნ. იასინოვსკი.

ბელეტრისტიულ განყოფილებას 1909 წლის განმავლობაში ბანაგებს დ. ს. მერეჟკოვსკი.

1909 წლის მარტიდან წიგნებში დაიბეჭდება, სხვათა შორის, შემდეგი წერილები: დაუბეჭდავი წერილები ა. ბ. ჩეხოვისა, ვლ. ნემიროვიჩ-დანჩენკოსთან და დაუბეჭდავი წერილები ვ. დ. ბალმონტისა; ბელეტრისტიულ განყოფილებაში: თოდორ სოლოგუბისა, ზ. ნ. გიპიუსისა, ნ. მ. მინსკისა, ვ. დ. ბალმონტისა, ალექსი რემიზოვისა, ბაცლავ სტოლპნიკისა, ანდრეა ბელისა, ლევ შესტოვისა, ნ. ი. ციმბალისა, დ. ნ. კრაჩკოვსკისა, მ. მ. არიმვინისა, ვ. ფ. ფლიეტჩევსკისა, ალფიანოვისა, ეკატერინოდარსკისა, ვ. ნ. ბოგორაზისა, ზ. ნ. ფოლუბინსკისა, ალ. ბ. ბოგორაზისა, ერკ. ბრიმმისა, დ. ს. მერეჟკოვსკისა, ლ. შესტოვისა, მ. ფ. ბერშენზონისა, ფ. ვ. ფილოსოფოვისა, ანტონ კრაინისა, ვ. ი. ჩეკოვსკისა, ი. ენგელისა, ფ-ნ ა. ვ. სუქოვა-ბოგორაზისა, ს. ვ. ლურიესა, ს. ნ. ბელოგაევსკისა, ვ. ნ. ხერეკვანი, ბ. ნ. ნოვგოროდცევისა ვ. დ. ნაბოკოვისა, ა. ა. ლოპუხინისა, ბ. ა. კისტიაკოვსკისა, ბ. ა. ბეზობრაზოვისა. წერილები საზოგადოებრივ ცხოვრების მიმდინარე საკითხებზე: ბ. ბ. ხერეკვანი. სხვა და სხვა საკითხებზე: იზგოევისა, ნაბოკოვისა, კიზეველეტერისა. ეფსტეინის ბიბლიოგრ. ს. ა. ვოლლიარევსკისა.

ხელის მოწერის პირობები:

გაგზავნით—ერთი წლით—12 მ. 9 თვით—9 მ. 6 თვით—6 მ. 3 თვ.—3 მ. 1 თვით—1 მ
საზღვარ-გარედ—ერთი წლით—14 მან. 9 თვ.—10 მ. 50 კ. 6 თვ.—7 მ. 3 თვ—3 მ. 50 კ
1 თვით—1 მ. 25 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება: მოსკოვში—ტვერსკოის კანტორაში, ვოზდვიჟენკა, ვაგანოვსკის ქუჩის შესაფვალი, სახ. კუშანეროისა. პეტერბურგში, ვილნაში, ვარშავაში—გარაანსიოვის წიგნის მაღაზიაში. კიევში—ოგლობლინისა და ზოკოლოვსკის წიგნის მაღაზიაში; ოდესაში—„ტრუდის“ წიგნის მაღაზიაში. (2—უ.—1)

ამერიკულ ვაზის სანერგე

„ძლ. ეგზარული“ ქუთაისში.

ათასნაირი ჯიში ვაზისა, სიმრავლით უპირველესია რუსეთში.

1200 ჯიში ამერიკულ, ევროპიულ და აზიურ ვაზისა და გიბრიდები.

უფასოდ ეგზავნება მსურველს განმარტებანი და პრეის-კურანტები. (10—ნ.—2)

60 მანეთიანი 30 მანეთად





ქ. ქუთაისში

ა. რ. თაგაგრის მაღაზიაში

თეატრის გვერდით

მუდამ იყიდება საუკეთესო საკერავი მაშინები, ველოსიპედები, ჩულქის საქსოვი მანქანები, გრამოფონები და ყოველივე მათი მოწყობილება. ვღებულობთ გამოსასყიდისათანავე ახალ-ახალ ფირფიტებს და სხვ. საქონელს ვღებულობთ საზღვარ-გარეთის საუკეთესო ქარხნებიდან სათითაოდ შემოწმებულს, რისთვისაც ვიძლევით გარანტიას.

ფასები შესამჩნევად დაკლებულია

ხელის მაშინა სხვის 60 მანეთიან მაშინებთან შედარებით ჩვენთან 30 მანეთი ღირს.

ჩვენ მაღაზიას აგენტები ჰყავს ყველა ქალაქსა და დაბაში. წერილობით მიწერ-მოწერის პასუხს სწრაფად ვიძლევით.



შეიძლება საქონლის დაბარებაც ზედ-დადებულ ფასით. თუ გაგზავნილი საქონელი მოსაწონი არ იქნება, ფულს უკან ურუნებთ.

◀ 60 მანეთიანი 30 მანეთად ▶

(100—ნ—10)